ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 17 სექტემბერი 1993 № 14 (61) ფასი 145 კუპონი


4 გაზაფხულის შავი დღე
საფეხბურთო ევროტურნირები

5 ბუზკაშ
ფული და ჩინური მუხლუხოები

7 მეტსაც მივაღწევთ





ინტერვიუ მაია ჩიბურდანიძესთან

8 უცხო ხილი
ლიგის რაგბი






93 14:12 FAX -41 31 941 18 38 UEFA Bern

**UEFAX**

UNION DES ASSOCIATIONS EUROPEENNES DE FOOTBALL

Jupiterstrasse 33
P.O. Box 16
CH-3000 Berne 15

Tel: int + 31 / 941 41 21
Fax: int + 31 / 941 18 38
Tlx: 912 037 uef ch

Date : 10. August 1993
To : The FA's of Turkey and Georgia
Attn. : Referees Departments (David Kvinikadze in Georgia)
From : Neil Livingstone
Re : Dinamo Tibilisi - Linfield ECCC 18th August 1993

This message contains 1 pages (including cover page). If any part of it is illegible, please call: Switzerland Tel. int. + 31 - 941 41 21

Dear Sirs,

We confirm the travel arrangements of the Turkish match officials as follows:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 16.08 | dep. Istanbul | 0950 | arr. Vienna | 1115 | TK 883 |
| | dep. Vienna | 1325 | arr. Moscow | 1815 | SU 262 |
| 17.08 | dep. Moscow | 1340 | arr. Tbilisi | 1600 | SU 929 |
| 19.08 | dep. Tbilisi | 1200 | arr. Istanbul | 1315 | DVU 1589 |

The referees are entitled to claim four daily allowances each.

As discussed on the telephone with Mr Kvinikadze, the Georgian FA will receive hotel accommodation for the four match officials and meet them at the airport in Tbilisi. The Georgian FA are not obliged to meet the referees in Moscow.

We trust this arrangement is suitable for all concerned and wish you a pleasant match.

Kind regards

UEFA

# ისევ „დინამოს" საქმის გარშემო

## მიხეილ ყაველაშვილი: ფედერაციის ხელმძღვანელობა უნდა გადავირჩიოთ

## ნოდარ ახალკაცი: სათქმელი მეც მაქვს

## ბადრი ნინუა: ყველას ვთხოვ, თავი შეიკავოს

## უკან დარჩა 4000 კილომეტრი



ჯუმბერ ლეჟავას მსოფლიო მოგზაურობის პრესცენტრი იტყობინება, რომ ჩვენი თანამემამულე ამჟამად თურქეთის ხმელთაშუაზღვის ქალაქ მერსინში იმყოფება. 13 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე, 34 დღეში მან სამი ქვეყნის (საქართველო, თურქეთი, კვიპროსი) გზებზე დაახლოებით 4000 კილომეტრი გაიარა. აქედან ორგზის გემით, მანძილი თურქეთის სანაპიროსა და კვიპროსს შორის. სულ, დღემდე მან გაიარა 30 დიდი და პატარა ქალაქი, 300-მდე სოფელი.

ტელეფონით საუბარში ლეჟავამ თქვა, რომ მას ყველგან გულთბილად ხვდებიან.

აქვე უნდა ითქვას მოგზაურის პირველ სერიოზულ სიძნელეთა შესახებ — ლიბანში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციისა და სირიაში წარმოქმნილი გართულების გამო ამ სახელმწიფოს შესაბამისმა სამსახურებმა ვერ აიღეს პასუხიმგებლობა მისი უსაფრთხოების გამო.

ასე, რომ ვიდრე ლეჟავა ისრაელის გზას დაადგებოდეს, დარჩენილ დროს თავისი მოგზაურობის მისიის ერთგული რჩება — გამართავს საქმიან შეხვედრებს, წაიკითხავს ლექციებს იატაკიდან ტანის აზიდვაში ვარჯიშის სპორტული და სამკურნალო მნიშვნელობის შესახებ.

მოგზაურობისადმი მიძღვნილ მასალას მეშვიდე გვერდზე იხილავთ.

# «დინამოს» პრესკონფერენცია

გუშინ ეროვნულ სტადიონზე შედგა თბილისის „დინამოს" პრესკონფერენცია, რომელსაც ჟურნალისტების გარდა გულშემატკივართა მოზრდილი ჯგუფი დაესწრო. პრესკონფერენცია გახსნა დავით ქლიბაძემ. გულშემატკივრებმა და ჟურნალისტებმა დასაწყისშივე იკითხეს, თუ რატომ არ ესწრებოდა პრესკონფერენციას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი ნოდარ ახალკაცი. მერაბ ჟორდანიამ უპასუხა, რომ იგი პირადად ელაპარაკა ახალკაცს. იგი ძალზე ცუდადაა და საავადმყოფოში აპირებს დაწოლას, რაც შეეხება ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ჩივაძეს და გენერალურ მდივანს დავით კვინიკაძეს, მათთან დარეკვა „დინამოს" ერთ-ერთ მეპატრონე რომან შოთაძეს სთხოვეს. გაირკვა, რომ ზემოაღნიშნული პირები ფედერაციის შენობაში არ იმყოფებოდნენ. ამ ცნობამ გულშემატკივრები და ჟურნალისტები აღაშფოთა, „აბუჩად გვიგდებენო" — დაასკვნეს დარბაზში.

შემდეგ მერაბ ჟორდანიამ გაიხსენა კლუბში მოსვლის ისტორია და ერთი წლის წინანდელი პერიოდი დღევანდელს შეადარა, „ორივე შემთხვევაში ნულიდან დავიწყეთ" — აღნიშნა მან. „როცა გუნდი უეფა-ს ტურნირებზე გამოდის, ყველაფერზე მისი ხელმძღვანელობა აგებს პასუხს. უაზრობაა ვიძახოთ, რომ ჩვენ არ გვეხებოდა მსაჯების დახვედრა. რაც მოხდა, ჩვენივე დაუდევრობისა და მატრაკვეცობის ბრალია, მე პირადად ჩემს თავსაც ვადანაშაულებ, რაც არ უნდა დაკავებული ვყოფილიყავი, მაინც უნდა გამეკონტროლებინა ყველაფერი. ტაპის მსგავსად ჩვენც შეგვეძლო სამოქალაქო სასამართლოში გვეჩივლა, მაგრამ საბოლოო ჯამში ამით ქართულ ფეხბურთს დავაზარალებდით, რადგან უეფა მოხსნიდა ჩვენს ყველა კლუბსა და ნაკრებს მისი ეგიდით გამართული ყველა შეჯიბრებიდან.

რაც შეეხება „ბანი და კომპანიას", იგი ჩვენი თხოვნით დათანხმდა მხარში ამოგვდგომოდა და გაეღო ხარჯები, რადგან ჩვენ თითქმის ერთი წელია არავინ გვეხმარება ფინანსურად. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ თანხას ჩვენ უკლებლივ დავუბრუნებთ „ბანი და კომპანიას". ჩვენი ფედერაციის დებულებაში სწერია, რომ მთავარი მსაჯი ორჯერ მეტს იღებს. აღარ მახსოვს კონკრეტულად, ვინ უთხრა ბადრი ნინუას მსაჯებისთვის ფული გადაეცა. მე, ახალკაცმა, სხვა ვინმემ თუ ყველამ ერთად. ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის დავით კვინიკაძის სახელზე გამოგზავნილ ფაქსში კი გარკვევით ეწერა, რომ საქართველოს ფედერაცია არ არის ვალდებული მოსკოვში დახვდეს მსაჯებს, თუმცა იმავე ფაქსში ისიც სწერია, რომ მსაჯები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ ოთხი დღის სარჩო თითოეულმა. აიგნერმა ეს ფაქსი შეცდომად ჩათვალა. სხვათაშორის შვეიცარიაში გავარკვიე, რომ მსაჯთა დღიური ანაზღაურება 150 დოლარი ყოფილა.

მე არ მინდა ეს საქმე ასე მშრალად დამთავრდეს, მე მინდა იგი ფართო მსჯელობის საგანი გახდეს, დეტალურად გაირკვეს ყველაფერი, თუმცა მე არ ვიხსნი ჩემს წილ პასუხისმგებლობას და მზად ვარ, თუ გამოჩნდება ვინმე ჩვენზე უკეთ რომ უპატრონებს გუნდს, გადავდგე და მას დავუთმო ადგილი, თუმცა რითაც შემეძლება მაინც დავეხმარები ახალ ხელმძღვანელებს, რადგან ამ ერთი წლის განმავლობაში ევროპაში საკმაოდ კარგი კავშირები დავამყარეთ" — დაასრულა მერაბ ჟორდანიამ.



პრესკონფერენციაზე: „დინამოს" კაპიტანი მიხეილ ყაველაშვილი

ერთ-ერთი გულშემატკივრის კითხვაზე, თუ რატომ არ არის კლუბის საბჭოში იურისტი, ჟორდანიამ უპასუხა, რომ ეს მათი შეცდომაა და მომავალში უეჭველად აიყვანენ.

**ვოვა ნიკოლაიშვილი** (ტელევიზია) — ვის კომპეტენციაში შედის მსაჯების დახვედრა?

**ავთანდილ კოკაია** (საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა ასოციაციის პრეზიდენტი) — მე ბევრჯერ გავიმეორე, რომ მსაჯების თბილისში ჩამოყვ ნისთანავე ჩემი მისია დავასრულე, თუმცა ვთვლი, რომ ბოლომდე უნდა ვყოფილიყავი მათთან.

აქ კი საფეხბურთო კლუბ „კახეთის" მეპატრონე გოგა ხაინდრავამ თავი ვერ შეიკავა და საკმაოდ ემოციურად გამოხატა სათქმელი: ათი წელი გამოდიოდა თბილისის „დინამო" ევროტურნირებზე და კარგა ხნის განმავლობაში

იხილეთ მეორე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# «დინამოს» პრესკონფერენცია

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

მას ნოდარ ახალკაცი ედგა სათავეში. ფედერაციაში ფაქსი თამაშამდე ექვსი დღით ადრე მოვიდა, განა არ შეეძლოთ ფედერაციის მესვეურებს შეკითხვა გაეგზავნათ უეფა-ში ფაქსის იმ პუნქტზე, რომელიც დებულებას ეწინააღმდეგებოდა? აქ დავით ქლიბაძემ გაიხსენა „დინამოს" „ტვენტესთან" შეხვედრის ისტორია და აღნიშნა, როდესაც მსაჯების მომსახურების შესახებ შეკითხვა დაუსვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელ თავკაცს ავთანდილ ჭკუასელს, მან უპასუხა, რომ მსაჯების მიღება-დახვედრა-გამგზავრება ფედერაციას ეკუთვნისო.

შემდეგ გივი ნოდია გამოვიდა ტრიბუნასთან. მან თქვა, რომ ოთხი თვეა გუნდში მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში დარწმუნდა, რომ „დინამოს" ხელმძღვანელობა ის ხალხია, ვისაც შეუძლია გადაარჩინოს კლუბი და მათ აქვთ მორალური უფლება უხელმძღვანელონ გუნდს. ამის შემდეგ ბატონმა გივიმ ვრცლად ილაპარაკა ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაზე და მეხუთე ჩემპიონატის დებულების ზოგი პუნქტის აბსურდულობაზე: „მეორე ეტაპზე ნული ქულით დაწყება უპირველეს ყოვლისა თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ არის მიმართული, მწვრთნელთა საბჭოზე მწვრთნელთა ორი მესამედი წინააღმდეგი იყო ამ პუნქტისა, მაგრამ ფედერაციამ, როგორც ადრე სჩვეოდა, უგულებელჰყო მათი აზრი და თავისი გაიტანა. უეფამ ყველაფერი იცის ჩვენი ჩემპიონატის შესახებ, მას არაფერი დაემალება. უამრავ ჩაწყობილ თამაშებზე, მსაჯების შეურაცხყოფაზე და სხვა დანაშაულზე კი ჟურნალისტები მეტწილად სდუმან. ჟურნალისტებმა ხმა უნდა აღიმაღლონ ამ უმსგავსოების წინააღმდეგ და დაუფარავად თქვან ყველაფერი, რადგან ჩუმად ყოფნა დიდ ზიანს აყენებს ქართულ ფეხბურთს. ყველაფერი კეთდება „დინამოს" დისკრედიტაციისთვის. დასასრულ ბატონმა გივიმ კიდევ ერთხელ სთხოვა ჟურნალისტებს მხოლოდ სიმართლე დაეწერათ. „დინამო" ყველა მატჩში მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს, რამდენი ქულითაც არ უნდა უსწრებდეს მეტოქეს — განაცხადა მთავარმა მწვრთნელმა.

**არჩილ არველაძე** — საქართველოში ბოროტ ადამიანებს რა დალევს, ტელევიზიაში გამოსვლისას გახსოვთ რას გვეკითხებოდნენ? 1) აქვს თუ არა მორალური უფლება „დინამოს" ხელმძღვანელობას დარჩენისა? 2) „ლინფილდთან" მეორე თამაშის ტრანსლაცია შემთანხმებული იყო თუ არა შესაბამის ფირმასთან? 3) დარჩებით თუ არა გუნდში? უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ყველანაირად მხარს ვუჭერთ ჩვენს ხელმძღვანელობას და სანამ ისინი იქნებიან, ჩვენც ვიქნებით გუნდში. ფედერაციას კი ჩვენ არ ვაინტერესებთ, საქართველოს სზმგზის ჩემპიონები გავხდით და ოქროს მედლებიც კი არ გადმოუციათ. მახსოვს პოლონეთის ტურნედან ჩამოვედით და დილმის ბაზის დარაჯმა ძველ გაზეთში შეხვეული ნივთი გადმოგვეცა. გავხსენით და ჩვენი ოქროს მედლები ეწყო, ფედერაციის ერთ-ერთ მუშაკს მიუცია მისთვის. აი, ასეთ „ყურადღებას" გვაქცევს ფედერაცია.

**მიხეილ ყაველაშვილი** — მე როგორც გუნდის კაპიტანი, მთელი გუნდის სახელით მოვითხოვ დამნაშავის გამოვლენას და დასჯას. მთელი ფედერაცია „დინამოს" წინააღმდეგია. მოგვიარეთ, მეტი აღარ შეგვიძლია. ოთხი წელია ფეხბურთის ფედერაცია რასაც უნდა იმას აკეთებს, მოვიწვიოთ რიგგარეშე ყრილობა და გადავირჩიოთ მისი ხელმძღვანელობა (ამ სიტყვებზე „დინამოს" ფეხბურთელებმაც და დამსწრე საზოგადოებამაც ტაში დაუკრა).



გოგა ხაინდრავამ აღნიშნა, რომ ყველა აქ დასმულ შეკითხვას ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა პასუხი უნდა გასცენ. ისინი კი არ ჩანან, საჭიროა, დაუყოვნებლივ მოეწყოს მათთან ანალოგიური პრესკონფერენცია. ჟურნალისტებმა და გულშემატკივრებმა უსიტყვოდ დაუჭირეს მხარი ამ წინადადებასაც.

„დინამოს" ერთ-ერთმა მეპატრონემ, ვოვა ისელიძემ განაცხადა, რომ ფედერაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს უთქვამს, ჩვენც მივიღებთ გარკვეულ ზომებს „დინამოს ევროტურნირიდან მოხსნასთან დაკავშირებითო. მანაც აღშფოთება გამოთქვა ფედერაციის მესვეურთა მისამართით, რადგან ფაქსი ექვსი დღე ედოთ და უეფა-ს არ დაუკავშირდნენო.

ამის შემდეგ ჟორდანიამ მოკლედ მიმოიხილა „დინამოს" მომავალი გეგმები და აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში კლუბი საზღვარგარეთ გაემგზავრება. ასეთი ტურნეები ორ თვეში ან თვეში ერთხელ მოეწყობა, რათა გუნდს არ მოაკლდეს ძლიერი სპარინგ-პარტნიორი, ხოლო თებერვალში მოსკოვში „ჩემპიონთა ტურნირზე" გაემგზავრებიან.

ბოლოს კონფერენციის მონაწილეებმა კიდევ ერთხელ გამოთქვეს აზრი, რომ საჭიროა დაუყონებლივ მოეწყოს პრესკონფერენცია ფედერაციის ხელმძღვანელობასთან.

**მამუკა კვარაცხელია**

# სრულ სიმართლეს ვერასდროს გავიგებთ?

საქართველოში მომხდარი ათასგვარი მოვლენების ფონზეც არ ნელდება ხალხის ინტერესი „დინამოს" საქმის მიმართ. კლუბის ხელმძღვანელთა და ფეხბურთელთა გუშინდელი პრეს-კონფერენცია თუ გულშემატკივრებთან შეხვედრა (ჩვენში ეს ძნელი გასარკვევია) ამის დასტურია. საქმის საბოლოო გახსნამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ უკვე იკვეთება სამწუხარო ტენდენცია ყველაფერის ერდმანეთზე გადაბრალებისა. ამაში ყველაზე ნაკლებად ბადრი ნინუა მონაწილეობს, რომელმაც შვეიცარიიდან ჩამოსვლისთანავე ორგანიზებულ ტელეგამოსვლაში კი განაცხადა, რომ „მე დამავალეს ფულის მიცემაო", მაგრამ კონკრეტულად — ვინ — არ უთქვამს. ამის პასუხი არც გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე ითქვა. რაღაც-რაღაც ვარაუდები ყოველ ჩვენთაგანს გააჩნია, მაგრამ გაზეთის ფურცლებზე მისი გამოტანა არასასურველად მიმაჩნია, მხოლოდ იმიტომაც კი, რომ „სარბიელს" ისეთ ფაქტებზე ედავებიან, სადავოს რომ ვერ დაარქმევ. იგივე ტელეგამოსვლისას ისიც ითქვა, თითქოს ჩვენ საიდანღაც გამოვიგონეთ — 120 ათას დოლარს ადვოკატებს „დინამო" უხდისო. საკვირველია, რატომ არ შეუსწორა დავით ქლიბაძემ გამომსვლელს: ეს ფაქტი ხომ სწორედ მან ამცნო მილიონობით ტელემაყურებელს. თუმცა დავანებოთ ამას თავი. ბოლოსდაბოლოს ყველამ თავის გულში ჩაიხედოს და თქვას: ვინ მეოთხე წელია ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე ხან სად და ხან სად დადის მის გასაშუქებლად და ვინ მხოლოდ ევროტურნირებისას იგებს, რომ საქართველოში ფეხბურთი ჯერ კიდევ არსებობს...

ვისევ „დინამოს" საქმეს, ამ შემთხვევაში იმ ყბადაღებულ ფაქსს დავუბრუნდეთ. ფეხბურთის ფედერაციაში ეს ფაქსი ვერ აღმოაჩინეთ, თუმცა დღევანდელი ნომრის პირველ გვერდზე მკითხველი სწორედ იმ ფაქსს ნახავს, რომელიც გუშინ მაინც ჩავიგდეთ ხელთ. ინგლისური ენის მცოდნეები თავადაც მშვენივრად გაერკვევიან მის შინაარსში, დანარჩენებს კი მცირედ ახსნა-განმარტებას შევთავაზებთ:

ფაქსი გაგზავნილია თურქეთისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციებში ნილ ლივინგსტონის მიერ. კონკრეტულად, წერილის ამ პირის ადრესატია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე. ტექსტი ასე იწყება:

> **ძვირფასო ბატონებო,**
>
> **ჩვენ ვამტკიცებთ მატჩის თურქ ოფიციალურ პირთა მგზავრობის განრიგს შემდეგი სახით:**
>
> (შემდეგ მოდის განრიგი)
>
> **თითოეულ მსაჯს უფლება აქვს მოითხოვოს ოთხი დღის დღიური თანხა.**
>
> **როგორც ბატონ კვინიკაძესთან სატელეფონო საუბრის დროს გადაწყდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია შეხვედრის ოფიციალურ პირებს დახვდება თბილისის აეროპორტში და დაუჯავშნის სასტუმროს ოთახებს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არ არის ვალდებული დახვდეს მსაჯებს მოსკოვში.**
>
> **ჩვენ გვჯერა, რომ ეს შეთანხმება მოხერხებულია ყველა დაინტერესებული მხარისთვის და გისურვებთ სასიამოვნო მატჩს.**
>
> **კეთილი სურვილებით,**
>
> **უეფა.**

წერილის შინაარსი საკმაოდ გასაგები გეჩვენება, თუმცა გაუგებრობა გამოიწვია იმან, თუ ვის ეუბნებოდა უეფა — მსაჯებს თუ დასჭირდათ, ფული მიეცითო — საქართველოს ფედერაციას თუ თურქეთისას. მაგრამ ჩვენთან მოხვედრილი ასლის მიმღები ხომ კონკრეტული პიროვნება — დავით კვინიკაძე გახლავთ. რა თქმა უნდა, ჩვენ დავინტერესდით მისი კომენტარით, მაგრამ მან ინტერვიუზე თავაზიანი უარი გვითხრა. ეს გუშინწინ იყო, ხოლო როგორც შევიტყვეთ, ბატონი დავითი გუშინ შეუძლოდ შექნილა და ამ მიზეზით არ ესწრებოდა პრეს-კონფერენციას. ჯანმრთელობა გაუუარესდა ფედერაციის პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცსაც, რომელსაც გუშინ შინ დავურეკეთ. ბატონმა ნოდარმა გვითხრა, რომ მას ბრმა ნაწლავის შეტევა ჰქონდა, აუცილებელია ოპერაციის გაკეთება, მაგრამ ალერგიის გამო ეს ვერ ხერხდება. მისი თქმით, იგი გამოჯანმრთელებისთანავე გამოვა სამსახურში. როცა ფედერაციის პრეზიდენტს პრეს-კონფერენციაზე „დინამოს" ფეხბურთელების მიერ გამოთქმული კრიტიკის კომენტარი ვთხოვეთ, მან თქვა, რომ „თუ ვინმეს ფედერაციასთან პრეტენზია აქვს, მოგვმართოს წერილობით და ჩვენ პასუხს გავცემთ. ისე კი, როცა ჯანმრთელობა ხელს შემიწყობს, პრეს-კონფერენციას ჩავატარებ, სადაც ყველა კითხვაზე პასუხს მიიღებთ. სათქმელი მეც ბევრი მაქვს".

ფაქსის შესახებ შევეკითხეთ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ალექსანდრე ჩივაძეს. მან ბრძანა, რომ წერილი მართლაც გენერალური მდივნის სახელზე მოვიდა და ეს ფაქტი საიდუმლოდ არავის შეუნახავს. ნოდარ ახალკაცს იგი მატჩის მოსამზადებელ თათბირებზე სულ თან დაჰქონდა და მისი არსებობის შესახებ ყველანი საქმის კურსში იყვნენ, მათ შორის ის ჟურნალისტებიც, ვინც იმ თათბირებს ესწრებოდა. მატჩის კომისარს, რომელთანაც ურთიერთობა გვქონდა, ჩვენთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს შემდგომში გახმაურებული საკითხის შესახებ — დასძინა ბატონმა ალექსანდრემ.

მოკლედ, სათქმელი ბოლომდე ჯერ არ თქმულა. არცერთი მხარის მიერ, მაგრამ ყველა ერთ რამეში ერთსულოვანია — ყველაფერი უნდა ითქვასო. შემიძლია არ დავეთანხმო: ის ფაქტები, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია და რომლებიც ალბათ არასდროს გამოქვეყნდება ისევ ჩვენი „დინამოს" და ეროვნული ნაკრების კეთილდღეობის გამო, თითქმის გარანტიაა იმისა, რომ სრული სიმართლე საჯაროდ არასდროს ითქმება, თუმცა შეძლებისდაგვარად ჩვენ მაინც ვეცდებით „საქმის გამოძიებაში" ცოტა წინ წავიწიოთ.

რაც შეეხება ბადრი ნინუას, მისი თქმით, გუშინწინ მას ადვოკატმა დაურეკა და უთხრა, რომ შვეიცარიის სასამართლო წინასწარი შესატანის გარეშე განიხილავს მის საქმეს. როგორც ცნობილია, ნინუას აეკრძალა უეფა-ს სასარგებლოდ (შეიძლება ტერმინი სწორი არ იყოს) მუშაობა მთელი ცხოვრების მანძილზე, მაგრამ „ბანი და კომპანიის" პრეზიდენტი ჯერჯერობით თავს იკავებს საქმის სამოქალაქო სასამართლოში შეტანისაგან, ვინაიდან ეს, „მართალია გაამართლებს პირადად მას, მაგრამ ზიანს მოუტანს მთელ ქართულ ფეხბურთს". არ დაგავიწყდეთ, რომ ნოემბერში გადაწყდება, მიიღებს თუ არა საქართველოს ნაკრები ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მონაწილეობას. ბატონ ბადრის ვთხოვეთ, კიდევ ერთხელ დაეზუსტებინა საქმის ცალკეული დეტალები. მან თქვა, რომ „მეტეხში" გამართულ სადილზე ამოიღო ფული და დამსწრეთ უთხრა — მიეცით ეხლა ეს ფული, მე არც ინგლისური ვიცი და ჩემი საქმეც არ არის მისი გაკეთებაო, მაგრამ ეს მისია არავინ აიღო თავის თავზე. ნინუას აზრით, თურქი მსაჯები თავიდანვე დარიგებულები იყვნენ ვიღაცის მიერ. ბოლოს ბადრი ნინუამ თქვა, რომ ეს იყო შეცდომათა კომპლექსი, რომელიც „ყველას ბრალია, მათ შორის — ჩემიც" და ყველას სთხოვა, რომ „სანამ „დინამოსთვის" დისკვალიფიკაციის ერთი წლის მოხსნის საკითხს არ განიხილავენ, ყველა თავშეკავებით იყოს".

**ზურაბ მეძველია**

„სარბიელის" წინა ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ თბილისის „დინამოს" ერთ-ერთ მეპატრონესთან მერაბ რატიანთან. ინტერვიუში მერაბ რატიანი ამბობდა: „თებერვალში კვლავ მიგვიწვიეს მოსკოვში ჩემპიონთა ტურნირზე, სხვათაშორის მოწვევის ფაქსი ერთი თვე იდო ფეხბურთის ფედერაციაში და მხოლოდ ახლა გადმოგვცეს დაგვიანებით..."

## • მოსკოვიდან ფაქსი არ მოსულა

საკითხი განმარტა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო განყოფილების ინსპექტორმა **ზურაბ ბერელაშვილმა:**

— 1 სექტემბერს, ოთხშაბათს (იმ დღეს „დინამო" საპასუხო მატჩს თამაშობდა ბელფასტში) მოსკოვიდან დარეკა რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალურმა მდივანმა ალექსეი პარამონოვმა, რომელსაც მე ვესაუბრე. მან მკითხა, თუ მივიღეთ მათი წერილი, რომელიც ერთი თვის წინ გამოეგზავნათ. მე ვუპასუხე, რომ წერილი არ მიგვიღია. მაშინ მან ჩამაწერინა მისი ძირითადი ფრაგმენტები, საქმე ეხებოდა „დინამოს" მიპატიჟებას ჩემპიონთა ტურნირზე, რომელიც გაისად 28 იანვრიდან 4 თებერვლამდე მოსკოვში ჩატარდება და რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი ამერიკული დოლარია. მე აღვუთქვი, რომ „დინამოს" პრეზიდენს მერაბ ჟორდანიას ჩრდილოეთ ირლანდიიდან დაბრუნებისთანავე, ანუ პარასკევს ჩავაყენებდი საქმის კურსში. პარამონოვმა ჩაიწერა ფედერაციის ნომერი, თქვა, რომ დამატებით ფაქსს გამოაგზავნიდა, ხოლო პასუხს მომდევნო კვირის დასაწყისში დაელოდებოდა.

იმის გამო, რომ მერაბ ჟორდანია ბელფასტიდან შვეიცარიაში გაემგზავრა უეფა-ს სადისციპლინო კომისიის სხდომაზე დასასწრებად, თბილისში შაბათს დაბრუნდა. მე მას ორშაბათს შევხვდი „ბანი და კომპანიის" ოფისში და მოსკოვთან საუბრის შესახებ ვამცნე. რაც შეეხება პარამონოვის მიერ ნახსენებ წერილს და დამატებით ფაქსს, ერთიც და მეორეც დღემდე არ მიგვიღია.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი ჯგუფი. VIII ტური

## აღმოსავლეთი

**დინამო 7**
**მაღაროელი 2**

თბილისი, ეროვნული სტადიონი
10 სექტემბერი

დინამო: ზოიძე, ქველაძე, ლობჟანიძე, შელია (ბერაძე, 80), ინალიშვილი, ნემსაძე (კიკნაძე, 75), ა.არველაძე, ჯამარაული, რ. არველაძე, ქინქლაძე, შ. არველაძე
მაღაროელი: ხელაძე, ცოზაშვილი, ლურსმანაშვილი, რუხაძე, თამაზაშვილი, აბრამიშვილი, ბრეგვაძე, დადუნაშვილი (სამხარაძე, 75), კავთელაძე, ნიკლაური, ბურძენიძე (მწყერაშვილი, 70)

1:0 შელია (8)
2:0 შ.არველაძე (22)
2:1 ბურძენიძე (25)
3:1 ა.არველაძე (28)
3:2 კავთელაძე (30)
4:2 რ.არველაძე (44)
5:2 ა.არველაძე (50)
6:2 ჯამარაული (83)
7:2 ინალიშვილი (85)

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სოხუმი)

**ერქვანი 2**
**კახეთი 2**

რუსთავი, სტადიონი „მეტალურგი"
10 სექტემბერი

ერქვანი: ნარეკლიშვილი, შალამბერიძე, გაგნიძე, გეგეშიძე, ლაცაბიძე, დოლიძე, ინიაშვილი, ყიზილაშვილი, მოსიკაშვილი, თაბუკაშვილი, მეტრეველი (ჩიბაშვილი, 75)
კახეთი: გრიშიკაშვილი, ა. ხორხელი, კაციტაძე, სანადირაძე, ნიქარიშვილი, ჭვრიტიძე, სეფაშვილი, ლ. ხორხელი (დემეტრაძე, 60), ალავიძე, კვარაცხელია (ბაბულაიძე, 65), შონია

1:0 დოლიძე (34)
1:1 ჭვრიტიძე (55)
1:2 ჭვრიტიძე (75)
2:2 ინიაშვილი (81)

გაფრთხილება: ლაცაბიძე, შონია
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

**მარგვეთი 3**
**მეტალურგი 0**

ზესტაფონი, ცენტრალური სტადიონი
10 სექტემბერი

მარგვეთი: ბაბუაძე, მანაგაძე, გაბრიჭიძე (გურიელიძე, 88), გიგატაძე, ლონლაძე, ნიქარიშვილი, გიორგაძე (ჩიხლაძე, 88), ხუნდაძე, მეგრელაძე, სუხიაშვილი, შენგელია
მეტალურგი: ქორიძე, ქართველიშვილი, ბურნაძე, ჩოჩიევი, დუმუაშვილი, არჩვაძე, არსოშვილი, გ. კილასონია, მაჭავარიანი, გახოკიძე (მეტრეველი, 65), ამბიძე

1:0 მანაგაძე (80)
2:0 ხუნდაძე (83 პ)
3:0 მეგრელაძე (85)

ნიქარიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (46).
გაფრთხილება: მეგრელაძე, ქორიძე
მსაჯი: გ. სეფიაშვილი (თბილისი)

**საპოვნელა 4**
**მრეტები 0**

თერჯოლა, ცენტრალური სტადიონი
10 სექტემბერი

საპოვნელა: თევზაძე, ბებიაშვილი, გეწაძე, ჭულუხაძე (ბუნტური, 68), უკლება, ბრეგვაძე, ქურცაძე, ხვარეშია, ახვლედიანი (გურაბანიძე, 71), ჩინჩალაძე
მრეტები: ჯანელიძე, ძაბირაძე, ამბიძე, ბახტაძე (ჯუღელი, 70), ქორიძე, ქვარცხავა, იაგორაშვილი, თეთრაული, გელაძე (მოსულიშვილი, 60), ტყავაძე, ბურდული

1:0 ჩინჩალაძე (30)
2:0 ჭულუხაძე (32)
3:0 ჩინჩალაძე (52)
4:0 ქურცაძე (54)

მსაჯი: მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

**შევარდენი 1906 1**
**დილა 0**

თბილისი, სტადიონი „შევარდენი"
10 სექტემბერი

შევარდენი: ნაჭყებია, კეჩხოტიანი, შერლაია, მელქაძე, ჯიშკარიანი, ნადირაძე, ჯიქია (ელიაშვილი, 70), ქოჩლაძე, ხუციაშვილი, ტაბცულაია, ჯანაშია
დილა: ჩოლოკოვი, ბალაშვილი, ცხადაძე, შავნიძე, თარხნიშვილი, ციცქიშვილი, მერებაშვილი, მიქელაძე (რევაზიშვილი, 75), მეტრეველი (წყრიალაშვილი, 75), ხორგუაშვილი, მინდიაშვილი

1:0 ქოჩლაძე (50)

მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 6 | 6 | 0 | 0 | 30-5 | 18 |
| მარგვეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 17-10 | 13 |
| მაღაროელი | 8 | 4 | 1 | 3 | 15-16 | 13 |
| შევარდენი | 7 | 4 | 0 | 3 | 15-13 | 12 |
| კახეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-7 | 11 |
| საპოვნელა | 8 | 3 | 1 | 4 | 12-9 | 10 |
| ერქვანი | 7 | 2 | 3 | 2 | 13-15 | 9 |
| ივერია | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 8 |
| დილა | 7 | 2 | 0 | 5 | 6-13 | 6 |
| მრეტები | 5 | 1 | 0 | 4 | 2-17 | 3 |
| მეტალურგი | 7 | 1 | 0 | 6 | 5-21 | 3 |

## დასავლეთი

**სამტრედია 1**
**ბათუმი 0**

სამტრედია, ეროსი მანჯგალაძის სტადიონი
10 სექტემბერი

სამტრედია: მიქაძე, იონანიძე, სიდამონიძე, ბზიკაძე, ვაშაკიძე (ჭყონია, 35), წულაია (გენძეხაძე, 46), ამაშუკელი, ტონია, ჯანაშია, ფანჩულიძე, გოგელიძე
ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, შანიძე, გეთია, შეყილაძე, თორლაშვილი, მახარაძე, მაჭუტაძე, ყულეჯიშვილი, ტუღუში, კანტიძე (მუჯირი, 85)

1:0 ჯანაშია (85 პ)

გაფრთხილება: ბზიკაძე, მაჭუტაძე
მსაჯი: მ. მალალურაძე (თბილისი)

**ტორპედო 1**
**ოდიში 2**

ქუთაისი, ცენტრალური სტადიონი
10 სექტემბერი

ტორპედო: ნიშნიანიძე, ხოზაძე, ჩხაბერიძე, მესიაჩენკო, ხართიშვილი, ვაჩიბერაძე, ვოსკანოვი, ჯინჭარაძე (დიდავა, 65), მაღლაკელიძე, ხუჭუა, კვეტენაძე (გიორგობიანი, 60)
ოდიში: ჭანტურია, ჯოლოხავა, მესხი, თუთბერიძე, გაფრინდაშვილი, გაბედავა, კვარაცხელაია, გუგუჩია, დარასელია, ქაძანაია, აფაქიძე

0:1 თუთბერიძე (26)
1:1 ხართიშვილი (35)
1:2 გაბედავა (77)

გაფრთხილება: მესხი
მსაჯი: გ. ტაბატაძე (თბილისი)

**სამგურალი 1**
**ცხუმი 3**

წყალტუბო, 26 მაისის სტადიონი
10 სექტემბერი

სამგურალი: კიკალეიშვილი, ქობულაძე, მაღლაკელიძე, ჯანხოთელი, ვ. ფესტვენიძე, ჭ. იობიძე (ვ. ჯანელიძე, 54), ცნობილაძე, ჯანაშია (ლ. ფესტვენიძე, 70), ხურცილავა, გუბელაძე, ხარაბაძე
ცხუმი: ქვაჩახია, ჯიჯელავა, ზ. ჯელაძე, სიჭინავა, დანელია, მინდაძე, ლურწკაია, გ. ჯელაძე, გადელია, გოგიაშვილი, რუსია

1:0 გუბელაძე (19)
1:1 მინდაძე (53 პ)
1:2 გოგიაშვილი (75)
1:3 გ. ჯელაძე (88)

გაფრთხილება: ქობულაძე
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**შუქურა 3**
**მზიური 2**

ქობულეთი, ცენტრალური სტადიონი
10 სექტემბერი

შუქურა: ბერაძე, გვიანიძე, ჭელიძე, კანდელაკი, კაკუბავა, ბერიძე, ნიკლაური, ლონლაძე, გვასალია (ანანიძე, 80), ამბიძე, ღლონტი (გორგილაძე, 73)
მზიური: ფიფია, ეთერია, ქ. კვეკვესქირი, დ. ლურწკაია, თ. ლურწკაია, ხერგიანი, ზ. კვეკვესქირი, ქორთუა, ყოლბაია, ჩხეტია, ქანთარია

1:0 კაკუბავა (11)
1:1 ქორთუა (29)
1:2 ჩხეტია (35)
2:2 ამბიძე (60 პ)
3:2 ნიკლაური (62)

გაფრთხილება: ზ. კვეკვესქირი
მსაჯი: გ. მიქაუტაძე (ქუთაისი)

**კოლხეთი 1913 2**
**გურია 1**

ფოთი, სტადიონი „კოლხეთი"
10 სექტემბერი

„კოლხეთი 1913": დევაძე, თიბილაშვილი, კაკაჩია, მაჭავარიანი, ქუნთელია, მიქაბერიძე, გოროზია, მახარაძე, ჯუღელი, კვარაცხელია, ჩხაიძე
„გურია": აბუსერიძე, პაპავა, თევზაძე, ჯანელია, შუბლაძეშვილი, მელქია, ნარიაშვილი, ოქრუაშვილი, კორელიძე, ხუგრილაძე, გამცემლიძე (დოლბაია, 59; ფრიდონაშვილი, 73).

0:1 ხუგრილაძე (35)
1:1 ჯუღელი (63 პ)
2:1 დარასელია (87 პ)

გაფრთხილება: რეხვიაშვილი
მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 8 | 5 | 1 | 2 | 17-7 | 16 |
| გურია | 6 | 5 | 0 | 1 | 24-5 | 15 |
| სამტრედია | 6 | 4 | 1 | 1 | 14-7 | 13 |
| კოლხეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 13-7 | 13 |
| შუქურა | 5 | 2 | 1 | 2 | 9-10 | 7 |
| ტორპედო | 7 | 2 | 1 | 4 | 7-12 | 7 |
| ცხუმი | 6 | 1 | 3 | 2 | 9-16 | 6 |
| ოდიში | 5 | 1 | 2 | 2 | 10-13 | 5 |
| მზიური | 7 | 1 | 2 | 4 | 8-19 | 5 |
| ამირანი | 6 | 0 | 4 | 2 | 12-16 | 4 |
| სამგურალი | 6 | 1 | 0 | 5 | 5-16 | 3 |

დღეს თამაშობენ: მეტალურგი — დინამო (V ტურიდან), კახეთი — მრეტები (IV); ორშაბათს: მრეტები — დინამო (IX), 17 საათზე ეროვნულ სტადიონზე

საქართველოს თასი

# ლიდერთა მატჩი ლიდერთა გარეშე

საქართველოს თასის გათამაშების კენჭისყრისას არ ტარდება ძლიერი გუნდების განთესვა და ამიტომაც უკვე მეთექვსმეტედფინალში რამდენიმე სხვებთან შედარებით ძლიერი წყვილი აღმოჩნდა, რომელთა შორისაც კი გამოირჩეოდა „კოლხეთი 1913"-ის და „კახეთის" წყვილი. დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონების ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები სამშაბათს ფოთში შეხვდნენ პირველ მატჩში.

იმ დროს, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა სახელმწიფოს მეთაურის გარეშე არსებობდა, ორივე გუნდი წამყვანი მოთამაშეების გარეშე წარსდგა „ფაზისის" სტადიონზე შეკრებილი ათასხუთასამდე მაყურებლის წინაშე. და თუ კახელთა დანაკლისი მხოლოდ გოჩა



გიორგი დარასელია

ჭვრიტიძის არყოფნით ამოიწურებოდა, ფოთელებს სხვადასხვა მიზეზით ხუთი კაცი აკლდათ ცომაიას თამადობით. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ეროვნული ნაკრების მეკარე აკაკი დევაძე სათადარიგოთა სკამზე მისთვის უჩვეულო მე-14 ნომრით იჯდა და მზად იყო რომელიმე მინდვრის მოთამაშე შეეცვალა. მატჩის წინ ვკითხე დევაძეს — თუ მოედანზე შენი გასვლა გახდა საჭირო, სად ითამაშებ მეთქი. რა თქმა უნდა, თავდასხმაშიო — მითხრა აკაკიმ. ბოლოსდაბოლოს ფოთელებს არ დასჭირდათ მეკარის თავდასხმაში გამოყვანა, თუმცა კაცმა არ იცის, იქნებ სჯობდა კიდეც, მატჩის ბოლოს დევაძე რომ შეტევაში ჩართულიყო.

უკვე მეოთხე წუთზე მარჯვენა ფრთიდან ჩამოწოდებული კუთხურის შემდეგ გაიხსნა ანგარიში: მაჭავარიანმა პირდაპირ კარში ჩააზვია ბურთი, გრიშიკაშვილს კი ალბათ, მზემ შეუშალა და მანაც უკვე კარებში სცადა ბურთის აღება — 1:0. ამის შემდეგ სამი წუთის ინტერვალით იმ დღეს მშვენივრად მოთამაშე გიორგი დარასელიამ ორი სახიფათო გარღვევა შეასრულა, მაგრამ ორივეჯერ სტუმრებმა ბურთი კუთხურზე მოიგერიეს. ფოთელებს არც მეტოქე ჩამორჩა და მე-11 წუთზე ანგარიში გათანაბრდა — „კახეთის" ყველაზე აქტიურმა ფეხბურთელმა კვარაცხელიამ კაციტაძის უზადო პასი მიიღო, მოატყუა მაჭავარიანი და ბურთი ცხრიანში გააზვია. მალე მანვე მეორე გოლიც გაიტანა, როცა ალავიძის დარტყმული ბურთი გვასალიამ მოიგერია და კვარაცხელიამ დაამატა, მაგრამ თამაშგარედან. ამის შემდეგ წუთიც არ იყო გასული, რომ ფოთელები წინ გავიდნენ — დარასელიამ თავისი მორიგი გარღვევა კარში დარტყმით დაამთავრა, მეკარემ მოიგერია ბურთი და დათო მახარაძემ სამიოდ მეტრიდან დაამატა. პირველ ტაიმში მასპინძლებს კიდევ ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის საშუალება, მაგრამ მარცხენა ფრთიდან განხორციელებული ბევრი შეტევა გოლამდე ვერ მიდიოდა. ტაიმის ბოლო წუთზე თიბილაშვილის თავური უკვე ძელმა მოიგერია.

მეორე ტაიმი, რასაკვირველია, ფოთელთა შეტევებით დაიწყო. ამ მომენტში ცხადი შეიქმნა, რომ გოლი ახ გოლები გარდაუვალი ჩახდა. საშიოდ გამოუყენებულ მომენტს 55-ე წუთზე გოლი მოჰყვა: ამჯერად დარასელიამ მიიღო მახარაძის გამჭოლი პასი და საქმე პატიოსნად მიიყვანა ბოლომდე. შვიდ წუთში კი „კოლხეთის" კომბინაცია მახარაძე-მიქაბერიძე-დარასელია (ცენტრალური მცველი ჯუღელმა „თან წაიყვანა") ისეთი გოლით დამთავრდა, იმ დღეს ფოთელთა საწვრთნელ ბაზაზე ნანახ „ინგლისის 110 საუკეთესო გოლის" ფირსაც დაამშვენებდა — 4:1. საერთოდ, დარასელიამ იმ დღეს, რომ იტყვიან, აიშვა და ეს მით უფრო საოცარია, რომ იგი მოედანზე... გაბზარული ყბით იყო გამოსული — ნებისმიერი დარტყმა ან ბურთის მოხვედრა სახეში შეიძლება სავალალოდ დამთავრებულიყო.

სამი ბურთით წაგება, რაღა თქმა უნდა, არ აწყობდა „კახეთს" და თამაში ორმხრივი შეტევებით გაგრძელდა, თუმცა თუ სტუმრებმა მხოლოდ ერთი სახიფათო მომენტი შექმნეს (85-ე წუთზე, როცა თამაშგარეს შექმნისას ჩხაიძე „ჩარჩა" და შონიამ ვერ გამოიყენა შანსი), მასპინძლებს თამაში გამანადგურებელი ანგარიშით შეეძლოთ დაემთავრებინათ, მაგრამ... მარტო მახარაძეს ოთხი ასპროცენტიანი მომენტი ჰქონდა, რომელთა გამოყენების კოეფიციენტი ნულის ტოლი დარჩა.

მართალია, მატჩი დიდი ანგარიშით დამთავრდა, მაგრამ ეს „კოლხეთის" შემდეგ ეტაპზე გასვლას ჯერ არ ნიშნავს. „კახეთმა" დაამტკიცა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, რომ იოლად არ დათმობს. განმეორებით შეხვედრაში მას ჭვრიტიძეც ეყოლება, თუმცა წესით ფოთელებს უნდა დაემატოს ცომაია. სიტყვა „წესით" იმიტომ ვახსენეთ, რომ ცომაიას კიდევ ორი მატჩი დარჩა გამოსატოვებელი (ფედერაციის დისკვალიფიკაციით) „ოდიშთან" და „სამტრედიასთან", მაგრამ დასავლეთ საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, დიდი შანსია, რომელიმე მათგანი ან ორივე გადაიდოს. ისე კი, თელავის „კახეთის" ავტობუსმა, რომლითაც გუნდის ხელმძღვანელების ნებართვით თბილისამდე მეც ვიმგზავრე, ორი საათით ადრე ჩაუარა სოფელ ჯაბანას, რომელიც მალე ზვიადისტებმა აიღეს.

**ზურაბ მეძველია**
„სარბიელის" სპეციალური კორესპონდენტი, ფოთი

**კოლხეთი 1913 4**
**კახეთი 1**

ფოთი, სტადიონი „ფაზისი".
14 სექტემბერი.

კოლხეთი 1913: გვასალია, თიბილაშვილი, კაკაჩია, მაჭავარიანი, ქუნთელია, მიქაბერიძე (ლალანიძე, 83), გოროზია, მახარაძე, ჯუღელი, დარასელია, ჩხაიძე.
კახეთი: გრიშიკაშვილი, ა. ხორხელი, კაციტაძე, სანადირაძე, ნიქარიშვილი (ტოგონიძე, 67), ბაბულაიძე (დემეტრაძე, 58), სეფაშვილი, ლ. ხორხელი, ალავიძე, კვარაცხელია, შონია.

1:0 მაჭავარიანი (4)
1:1 კვარაცხელია (11)
2:1 მახარაძე (21)
3:1 დარასელია (55)
4:1 დარასელია (62)

გაფრთხილება: შონია
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ზ. დარჩია (თბილისი), გ. ასკარ-ოღლი (ქარელი).

თასის მეთექვსმეტედფინალის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: მრეტები — ბათუმი 0:1, მეტალურგი — ცხუმი 4:1, კოლხეთი (აბაშა) — არაგვი 0:0, სამტრედია — ტორპედო 1:0, მეშახტე — მაღაროელი 2:0, სამგურალი — ოდიში 3:4, ეგრისი — დურუჯი 3:1, მესხეთი — დილა 0:1, მზიური — ამირანი 4:0, შუქურა — შევარდენი 1906 4:0, საპოვნელა — გურია 1:2, ივერია — ერქვანი 3:0, ანცი — თეთრი არწივი 0:0. განმეორებითი მატჩები — 28 სექტემბერს.

## სტატისტიკა. VIII ტური

| | ალმ. | დას. | სულ | სეზონში |
|---|---|---|---|---|
| მატჩი | 5 | 5 | 10 | 71 |
| გოლი | 21 | 16 | 37 | 261 |
| საშუალო შედეგიანობა | 4,25 | 3,20 | 3,70 | 3,68 |
| მასპინძლები — სტუმრები: | | | | |
| ქულები | 13-1 | 9-6 | 22-7 | 142-58 |
| პროცენტულად | 93-7 | 60-40 | 76-24 | 71-29 |
| ბურთები | 17-4 | 8-8 | 25-12 | 172-89 |
| პროცენტულად | 81-19 | 50-50 | 68-32 | 66-34 |
| გაძევება | — | — | — | 1-6 |
| გაფრთხილება | 2-2 | 2-4 | 4-6 | 35-43 |
| პენალტი | 2-0 | 4-1 | 6-1 | 22-10 |
| გამოყენებულია | 1-0 | 4-1 | 5-1 | 19-6 |
| დიდი ანგარიში | 3 | — | 3 | 24 |
| „ჰეთ-თრიქი" | — | — | — | 5 |
| ფეხბურთელთა რაოდენობა | 127 | 121 | 248 | 358 |
| დებიუტანტები | 2 | — | 2 | 75 |

აღმოსავლეთ ქვეჯგუფში გაიმართა X ტურის ერთი მატჩი: დინამო — მაღაროელი.

11. [illegible]

ტურის შეხვედრებში 2-2 ბურთი გაიტანეს ა.არველაძემ („დინამო"), ჭვრიტიძემ („კახეთი"), ჩინჩალაძემ („საპოვნელა").

ბომბარდირთა ცხრილში უმნიშვნელო ცვლილებები მოხდა. კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს მეგრელაძე („მარგვეთი") — 11 გოლით. მომდევნო ადგილებზე არიან გოგოლაძე — 8, კორელიძე (ორივე „გურია"), ა.არველაძე („დინამო"), მაჭუტაძე („ბათუმი") — 7-7, გაბისონია („ამირანი"), ამბიძე („შუქურა") — 6-6.

მხოლოდ ერთ-ერთ 8 ტურში თავის მოედნიდან ბათუმელი მაჭუტაძე გატანილი გოლის გარეშე, წინა შვიდი ტურის ყველა მატჩში თითო ბურთი გაჰქონდა.

მერვე ტურის შემდეგ დასავლეთის ქვეჯგუფში წაგების გარეშე არავინ დარჩა, ხოლო აღმოსავლეთის ქვეჯგუფში ასეთი გუნდი მხოლოდ თბილისის „დინამოა", რომელმაც ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო, თანაც ხუთი დიდი ანგარიშით. „დინამოს" ამავე დროს არც ერთი ყვითელი ბარათი არ მიუღია, დასავლეთის ქვეჯგუფში ამ მხრივ სანიმუშოა სოხუმის „ცხუმი", რომელმაც გასულ სეზონში მოიპოვა სამართლიანობის პრიზი „ფეირ-პლეი".

წინა ტურში მეასე მატჩი ითამაშა პირველ ჯგუფში ბათუმელთა კარის დარაჯმა ასლან ბალაძემ.

10 სექტემბერს გორის „დილას" კარში შევარდენელი ქოჩლაძის მიერ გატანილი ერთადერთი გოლი მეორასე კლუბისთვის ეროვნული ჩემპიონატების მატჩებში.

**რევაზ შენგელია**

## ახალი მწვრთნელები

რუსთავის „მეტალურგს" სათავეში ჩაუდგა თბილისის „დინამოს" ყოფილი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი. ქუთაისის „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი გია [illegible]აკიძე თანამდებობიდან გადადგა. ბატონ გიგას განუცხადებია, რომ მისი გუნდის უფერული სტარტის შემდეგ მას არა აქვს თანამდებობაზე დარჩენის მორალური უფლება. ქუთაისის „ტორპედოს" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა რევაზ ბურკაძე, რომელიც მეორე ჩემპიონატში მუშაობდა ამ თანამდებობაზე, ხოლო ბოლო წლებში „ტორპედოს" ერთ-ერთი მწვრთნელი იყო.

# საფეხბურთო ზეიმი უჩვენოდ

დიდი საფეხბურთო ზეიმი, რასაც ევროტურნირების მატჩები ჰქვია, სამშაბათს დაიწყო ევროპაში და დღეს დამთავრდება. სამწუხაროდ, ცნობილ მიზეზთა გამო ჩვენი დედაქალაქი გამოაკლდა ამ დღესასწაულს, ისევე როგორც ჩემპიონთა თასის ამჟამინდელი ადგილსამყოფელი მარსელი.

ქვემოთ მოყვანილია იმ შეხვედრათა შედეგები, რომლებიც გაზეთის დაბეჭდვის მომენტისთვის გვქონდა ხელთ. რამდენიმე მატჩი გუშინ უნდა გამართულიყო, მათ შორის „დინამოს" დამარცხებული „ლინფილდის" და „კოპენჰაგენისა", დღეს კი სპლიტის „ჰაიდუკი" „აიაქსს" სლოვენიის დედაქალაქ ლუბლიანაში უმასპინძლებს, ვინაიდან ხორვატიაში ომი დაიწყო და უეფამ ამ ქვეყნის კლუბებს მოსთხოვა შინ გასამართი თამაშები ნეიტრალურ მოედნებზე მოაწყოს. „ჰაიდუკმა" ლუბლიანა არჩია, ზაგრების „კროაცია" კი, რომელმაც ჩემპიონთა თასზე გასვლაზე „სტიაუა" დაამარცხა 2:1, ორი კვირის მერე სად ითამაშებს, ჯერ უცნობია. „კროაციის" ხელმძღვანელობა უკვე შეეხმიანა გერმანიისა და იტალიის რამდენიმე კლუბს — იქნებ 29 სექტემბრისთვის სტადიონი გვათხოვოთო.

ჩემპიონთა თასზე ყველაზე სენსაციურად დამთავრდა მატჩი კიევში, სადაც „დინამომ" „ბარსელონას" მოუგო. 1991 წლიდან ეს გუნდები უკვე მესამედ ხვდებიან ევროტურნირების მატჩებში. ორივე წინა შეხვედრა ესპანელებმა უპრობლემოდ მოიგეს, ამჯერად კი შემდეგ ეტაპზე გასასვლელად კრუიფის ბიჭებს დიდი ჯაფა დაადგებათ. კიეველებმა, იცოდნენ რა, რომ „ბარსელონასთან" ღია თამაში დალუპვის ტოლფასია, დაცვითი ტაქტიკა აირჩიეს და კონტრშეტევებზე თამაშობდნენ. უკვე პირველი ასეთი გამოხტომა გოლით დამთავრდა: ლეონენკომ მარჯვენა ფრთიდან ჩააწოდა და შკაპენკომ თაურით ლამაზი გოლი გაიტანა. „ბარსელონა" შეტევაზე გადავიდა და 28-ე წუთზე მასპინძლები ორმაგად დაისაჯნენ: ინგლისელმა მსაჯმა დონმა კიეველი მიზინი საჯარიმო მოედანზე. ხელით თამაშისთვის გააძევა და კუმანს პენალტიც დაარტყმევინა. გოლის შემდეგ ესპანელთა უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ ტაიმის ბოლო წუთზე გოლი მათ კარში გავიდა: შკაპენკო მოცელეს და ლეონენკომ პენალტი გაიტანა. მეორე ტაიმში სუბისარეტას კიდევ ერთი გოლი გაუვიდა თაური დარტყმით, ამჯერად ლეონენკომ იმარჯვა. ამის შემდეგ კიეველები ფრიად სოლიდურად იცავდნენ თავს და მხოლოდ კუმანმა მოახერხა რამდენჯერმე საჯარიმოს გარედან დარტყმა. გუნდები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ. „დინამო": კუტეპოვი, ლუჟნი, პონომარენკო, ბესმერტნი, შმატოვალენკო, კოვალეცი, მიზინი, რებროვი, თოფჩიევი, ლეონენკო (შარანი, 76), შკაპენკო. „ბარსელონა": სუბისარეტა, ფერერი, გვარდიოლა, კუმანი, ნადალი, ოსკარი (სალინასი, 69), გოიკოეჩეა, სტოიჩკოვი, ლაუდრუპი, ამორი (ბეგირისტაინი, 59), ივანი.

ნაკლებად სენსაციურად მივიჩნევთ პოლანდიის ჩემპიონის მარცხს ისლანდიაში. მართალია, „ფეიენოორდი" შინ, ალბათ, გაუმკლავდება „აკრანესს", მაგრამ ჩემპიონთა თასზე მისი პრეტენზიები მაინც საფუძველმოკლებულია. „მარსელის" ნაცვლად გამოსული „მონაკოს" ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს საბერძნეთის ჩემპიონის კარში გოლის გატანა და გამარჯვებას მხოლოდ ბერძნების ავტოგოლით მიაღწიეს.



ვალერი გაზაევი გადადგა

თასების თასზე განვლილი ტურის ყველაზე დიდი ანგარიში აღინიშნა. სოფიელმა არმიელებმა არ დაინდეს საწყალი ლიხტენშტეინელები და 8 გოლი გაუტანეს, აქედან ოთხი — ვანიუ შიშკოვმა. 87-ე წუთამდე აგებდა შვედეთში თასის ახლანდელი მფლობელი „პარმა", მაგრამ კოლუმბიელმა ასპრილიამ ორ წუთში ორი გოლი გაიტანა და გაამარჯვებინა თავის გუნდს. იქვე, სკანდინავიაში მოიგო იტალიის მეორე კლუბმა „ტორინომ". მხოლოდ 10 ათასი კაცი დაესწრო ლისაბონის „ბენფიკას" მინიმალურ გამარჯვებას „კატოვიცესთან". ასეთი მწირი აუდიტორია ლისაბონში გამართულ ევროტურნირების მატჩებს ჯერ არ ახსოვს.

უეფას თასზე სამარცხვინო წაგება იწვნია მოსკოვის „დინამომ" და ამ დამარცხებამ მწვრთნელი ვალერი გაზაევი იმსხვერპლა — იგი მეორე დღესვე გადადგა. აი, გაზაევის ოსმა თანამემამულეებმა კი დორტმუნდში ყველასთვის მოულოდნელად გოლი არ გაატანინეს ნაქებ გერმანელებსა და შვეიცარელ შაპუიზას. მშვენივრად ითამაშა ყოფილმა თბილისის დინამოელმა ზაურ ხაპოვმა. ის კი არადა, 87-ე წუთზე ძობლაევს თავი ხეირიანად რომ დაერტყა...

საინტერესო იყო ორი გერმანულ-ჰოლანდიური დუელი — ორივე დაძაბული ბრძოლით და თითო მასპინძლის გაძევებით აღინიშნა. ენსხედეში „ტვენტეს" ნახევარმცველი იან ვან ჰალსტი, ხოლო კარსრუეში მანფრედ ბენდერი გააძევეს. მოულოდნელად დიდი ანგარიშით მოუგო „ვარეგემს" ფინეთის „კუუსისიმ". აღსანიშნავია დენის ბერხკამპის ევროდებიუტი „ინტერის" შემადგენლობაში — სამივე გოლი ბუქარესტის „რაპიდის" კარში სწორედ მან გაიტანა.

გიგა კოგახიძე

## ჩემპიონთა თასი

მეთექვსმეტედფინალი

„მონაკო" საფრანგეთი — ა.ე.კ. საბერძნეთი 1:0
ვლახოსი (81, საკ. კარში)
„არაუ" შვეიცარია — „მილანი" იტალია 0:1
პაპენი (56)
„რეინჯერსი" შოტლანდია — „ლევსკი 1914" ბულგარეთი 3:2
მაკფერსონი (45), ჰეიტლი (56, 79); ბორიმიროვი (77), ტოდოროვი (83)
„პორტუ" პორტუგალია — „ფლორიანა" მალტა 2:0
კოსტადინოვი (8), სემედუ (78)
„აკრანესი" ისლანდია — „ფეიენოორდი" ჰოლანდია 1:0
ტორდარსონი (75)
„გალათასარაი" თურქეთი — „კორკ სიტი" ირლანდია 2:1
კუბილაი (31), არიფი (51); ბერი (62)
„რუსენბორგი" ნორვეგია — „აუსტრია" ვენა, ავსტრია 3:1
ტანგენი (29 პ), ლეონარდსენი (35), ლეკენი (42); ჩაკი (33 პ)
„ჰონვედი" უნგრეთი — „მანჩესტერ იუნაიტედი" ინგლისი 2:3
საბადოში (40), სტეფანოვი (70); კინი (9,43), კანტონა (44)
ჰ.ი.კ. შვედეთი — „სპარტა" ჩეხეთი 1:0
ლიდმანი (36)
„დინამო" კიევი, უკრაინა — „ბარსელონა" ესპანეთი 3:1
შკაპენკო (6), ლეონენკო (45 პ, 56); კუმანი (28 პ)
„ლეხი" პოლონეთი — „ბეითარი" ისრაელი 3:0
პ.ი.კ. ფინეთი — „ანდერლეხტი" ბელგია 0:3
„სტიაუა" რუმინეთი — „კროაცია" ხორვატია 1:2
„სკონტო" ლატვია — „სპარტაკი" მოსკოვი, რუსეთი 0:5
„ვერდერი" გერმანია — „დინამო" მინსკი, ბელარუსი 16.09 — ?
„ლინფილდი" ჩრდილოეთ ირლანდია — „კოპენჰაგენი" დანია 16.09 — ?

## თასების თასი

მეთექვსმეტედფინალი

„ბაიერი" ლევერკუზენი, გერმანია — „ბობი" ჩეხეთი 2:0
პაპალი (30), ტომი (66)
„აპოელი" კვიპროსი — „პარი სენ-ჟერმენი" საფრანგეთი 0:1
სასიუ (78)
„დეგერფორსი" შვედეთი — „პარმა" იტალია 1:2
ბერგერი (72); ასპრილია (87, 88)
„ვალიური" ისლანდია — „აბერდინი" შოტლანდია 0:3
შირერი (9), ჯესი (28, 56)
„ტორპედო" რუსეთი — „მაკაბი" ხაიფა, ისრაელი 1:0
„ლილესტრიომი" ნორვეგია — „ტორინო" იტალია 0:2
სილენცი (26), იარნი (58)
„ოდენსე" დანია — „არსენალი" ინგლისი 1:2
კიოუნი (18, საკ. კარში); რაიტი (35), მერსონი (68)
„სტანდარდი" ბელგია — „კარდიფ სიტი" უელსი 5:2
ბისკონტი (13), ვილმოტსი (63, 84), კრუზი (71 პ), ასელმანი (76); ბერდი (39, 62)
„ვაკერი" ავსტრია — „ფერენცვაროში" უნგრეთი 3:0
დანეკი (48), ვესტერპალერი (58), კარასედო (65)
„რეალი" ესპანეთი — „ლუგანო" შვეიცარია 3:0
დუბოვსკი (45), მიჩელი (67 პ), ფერნანდესი (70, საკ. კარში)
„პანათინაიკოსი" საბერძნეთი — „შელბურნი" ირლანდია 3:0
დონისი (12), სარავაკოსი (37), ვარუიხა (48)
„ბენფიკა" პორტუგალია — „გკს კატოვიცე" პოლონეთი 1:0
რუი აგუაში (88)
„კოშიცე" სლოვაკეთი — „ბეშიქთაში" თურქეთი 2:1
„უნივერსიტატეა" რუმინეთი — „ტორსხავნი" ფარერები 4:0
ც.ს.კ.ა. ბულგარეთი — „ბალცერსი" ლიხტენშტეინი 8:0
„ჰაიდუკი" ხორვატია — „აიაქსი" ჰოლანდია 17.09

## უეფას თასი

ოცდამეთორმეტედფინალი

„პარტსი" შოტლანდია — „ატლეტიკო" მადრიდი, ესპანეთი 2:1
რობერტსონი (70), კოლკუონი (75); კოსეცკი (77)
„კრუზეიდერსი" ჩრდ. ირლანდია — „სერვეტი" შვეიცარია 0:0
„უნიონი" ლუქსემბურგი — „ბოავიშტა" პორტუგალია 0:1
კასაკა (40)
„ოლბორგი" დანია — „ლა კორუნია" ესპანეთი 1:0
ტორსტი (66)
„ბოჰემიანსი" ირლანდია — „ბორდო" საფრანგეთი 0:1
დუგარი (16)
„ანტვერპენი" ბელგია — „მარიტიმუ" პორტუგალია 2:0
სევერეინსი (57), ბურსაჩი (90)
„იანგ ბოიზი" შვეიცარია — „სელტიკი" შოტლანდია 0:0
„კარლსრუე" გერმანია — პ.ს.ვ. ჰოლანდია 2:1
შმიტი (21), კირიაკოვი (29); პოპესკუ (35 პ)
„კაზინო" ავსტრია — „დუნაისკა სტრედა" ჩეხეთი 2:0
ამერხაუზერი (40), პფაიფენბერგერი (85)
„კუუსისი" ფინეთი — „ვარეგემი" ბელგია 4:0
ანუნენი (17), ლიუსი (19, 75), ლეპტინენი (25)
„ვაც სმირნოფი" უნგრეთი — „აპოლონი" კვიპროსი 2:0
შედლაჩეკი (43), ნილაში (79)
„ბორუსია" დორტმუნდი, გერმანია — „სპარტაკი" ვლადიკავკაზი, რუსეთი 0:0
„ტენერიფე" ესპანეთი — „ოსერი" საფრანგეთი 2:2
პინილია (19 პ), ფელიპე (70); ვაირუა (16), საიბი (21)
„იუვენტუსი" იტალია — „ლოკომოტივი" რუსეთი 3:0
რ. ბაჯო (49, 86), რავანელი (69)
„ტვენტე" ჰოლანდია — „ბაიერნი" მიუნხენი, გერმანია 3:4
ბურებახი (65), პოლი (72), ფიურენსი (76); ნერლინგერი (11), ციგე (28, 90), შოლი (66)
„ინტერი" იტალია — „რაპიდი" რუმინეთი 3:1
ბერხკამპი (11, 66, 78); ანდრაში (52)
„ბრონდბიუ" დანია — „დანდი იუნაიტედი" შოტლანდია 2:0
ვილფორტი (20), კრისტენსენი (46)
„ნორჩეპინგი" შვედეთი — „მეხელენი" ბელგია 0:1
ჩერნიატინსკი (45)




„მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდმა როი კინმა „ჰონვედს" ორი გოლი გაუტანა

„ესტერი" შვედეთი — „კონგსვინგერი" ნორვეგია 1:3
პერსონი (36), ენგერბაკი (33), ფრენსისი (57), ფრიგარდი (59)
„ტრაბზონსფორი" თურქეთი — „ლა ვალეტა" მალტა 3:1
„ქოჯაელისფორი" თურქეთი — „სპორტინგი" პორტუგალია 0:0
„ბოტევი" ბულგარეთი — „ოლიმპიაკოსი" საბერძნეთი 2:3
„ნორვიჩ სიტი" ინგლისი — „ვიტესი" ჰოლანდია 3:0
„დინამო" მოსკოვი, რუსეთი — „აინტრახტი" გერმანია 0:6
გაუდინო (9), ვებერი (25), ფურტოკი (45), ბაინი (51), ოკოჩა (81), იებოა (85)
„სლავია" ბულგარეთი — ო.ფ.ი. საბერძნეთი 5:0
„სლოვანი" სლოვაკეთი — „ასტონ ვილა" ინგლისი 0:0
„ლაციო" იტალია — „ლოკომოტივი" პლოვდივი, ბულგარეთი 2:0
„დნეპრი" უკრაინა — „ადმირა ვაკერი" ავსტრია 1:0
„გლორია" რუმინეთი — „მარიბორი" სლოვენია 0:0
„რეიკიავიკი" ისლანდია — მ.ტ.კ. უნგრეთი 16.09 — ?
„დინამო" ბუქარესტი, რუმინეთი — „კალიარი" იტალია 16.09 — ?
„ნანტი" საფრანგეთი — „ვალენსია" ესპანეთი 16.09 — ?

## ესპანეთი

II ტური. 12 სექტემბერი. „ვალიადოლიდმა" მადრიდში, 86 ათასი მაყურებლის თვალწინ გააბითურა იქაური „რეალი" — 3:1. მეორე ტაიმის მე-5 წუთზე სტუმრები 3:0 იგებდნენ (ალბერტო-2, კუარესმა), დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ალფონსომ ერთი გოლი გაქვითა.

სხვა მატჩები: ალბასეტე — ბარსელონა 0:0, ლერიდა — ატლეტიკო 1:2, რაიო ვალეკანო — ტენერიფე 4:3, ლოგრონიესი — სანტანდერი 0:1, ვალენსია — ატლეტიკო 2:2, სპორტინგი — ლა კორუნია 0:2, რეალ სოსიედადი — სარაგოსა 2:2, ხელტა — ოვიედო 1:1, სევილია — ოსასუნა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკი (8) | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 4 |
| სანტანდერი (დ) | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 4 |
| ვალენსია (4) | 2 | 1 | 1 | 0 | 5-2 | 3 |
| ბარსელონა (1) | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 3 |
| ლა კორუნია (3) | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 3 |
| ატლეტიკო (6) | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 3 |
| სევილია (7) | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 3 |
| რეალი (2) | 2 | 1 | 0 | 1 | 5-4 | 2 |
| ვალიადოლ. (დ) | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 2 |
| რაიო ვალ. (14) | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 2 |
| ტენერიფე (5) | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 2 |
| სელტა (11) | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| სპორტინგი (13) | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 2 |
| სარაგოსა (9) | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| რეალ სოსიე (12) | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| ოსასუნა (10) | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| ოვიედო (16) | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| ალბასეტე (17) | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| ლერიდა (დ) | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| ლოგრონ. (15) | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |

ინგლისელი ვარსკვლავი გარი ლინეკერი, ვინაც წელს ახლადშექმნილი იაპონიის ლიგის მაჩანჩალა კლუბ „ნაგოია გრამპას ეიტში" თამაშობს, ერთი პირობა დაშავებული იყო, მაგრამ დათქმულ ვადამდე — ოქტომბრამდე ერთი თვით ადრე ბომბარდირს მოურჩა მტკივანი ტერფი, მოედანზეც გამოვიდა, „შამიცუს" წინააღმდეგ გოლიც გაიტანა, ოღონდ „ნაგოიამ" მაინც წააგო 1:2.

შოტლანდიის ნაკრებმა ცხრა დღის წინ შვეიცარიასთან ფრედ დამთავრებული თამაშის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე გასვლის თეორიული შანსიც კი დაკარგა. მართალია, სკოტებს კიდევ ორი შესარჩევი თამაში აქვთ გასამართი, მაგრამ მწვრთნელი ენდი როქსბურგი ჯენტლმენურად გადადგა, თუმცაკი ამ ნაბიჯის გადადგმა მისთვის არავის მოუთხოვია.

## ფეხბურთის



## რუკასთან

დიეგო მარადონამ, რომელიც ნარკომანობისთვის მისჯილი თხუთმეტთვიანი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ წინა სეზონში ესპანეთის „სევილიაში" თამაშობდა, კონტრაქტი დაარღვია, კლუბი მიატოვა, სამშობლოში დაბრუნდა და როსარიოს „ნიუელს ოლდ ბოისში" ჩაეწერა. ეს ამბავი „სევილიამ" რომ შეიტყო, მარადონას ახალი კონტრაქტს ყადაღა დაადო, აქაოდა ჯერ ჩემი ვალები აქვს გასასტუმრებელიო.

გამოჯანმრთელდა ბრაზილიელი ბებეტო, ვისაც კვირას ურუგვაისთან მსოფლიოს ჩემპიონატის გადამწყვეტ შესარჩევ თამაშში მონაწილეობა ელის.

ზამბია ოქტომბერში ასევე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში მაროკოს უნდა ეთამაშოს. რალაც ეშმაკად ფიფა-მ ამ მატჩის სამსაჯოდ გაბონური სამეული დანიშნა, გაბონის ნაპირთან კი აპრილში ავიაკატასტროფამ ზამბიის ნაკრების 18 მოთამაშის სიცოცხლე შეიწირა. მაშინ ზამბიელებმა გაბონის მთავრობა დაადანაშაულეს უთანამშრომლობაში, ახლა კი ძველი წყენის გამო მსაჯებსაც კატეგორიული აცილება მისცეს. ფიფა-მ აფრიკელთა ულტიმატუმი არად ჩააგდო და მომჩივანებს განუცხადა, მსაჯები წარმოადგენენ არა გაბონს, არამედ ფიფა-სო!

პოლონეთს ოთხშაბათს გადამწყვეტი შესარჩევი მატჩი ელის სტუმრად, ნორვეგიის წინააღმდეგ. გუნდს დაუბრუნდა კაპიტანი რომან შევჩიკი, ვინაც ინგლისთან ცხრა დღის წინ წაგებულ შეხვედრაში ტრავმის გამო ვერ ითამაშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

## ინგლისსა და ჰოლანდიაში გრძელდება მატჩები საჭადრაკო გვირგვინისთვის

# კასპაროვი 3,5 შორტი 0,5

ლონდონში, „ტაიმსის მსოფლიოს ჩემპიონატზე" გარი კასპაროვი ნაიჯელ შორტთან შეხვედრაში სამი ქულით დაწინაურდა. მეოთხე პარტიაში, რომელშიც მსოფლიოს ჩემპიონი შავი ფიგურებით თამაშობდა, 30-ე სვლისთვის ორმხრივი ცაიტნოტის საშიშროება შეიქმნა. მიმომხილველებმა იხუმრეს კიდეც: ამ მომენტიდან მეტოქეები საათს უფრო ხშირად უყურებდნენ, ვიდრე დაფასო. მიუხედავად ამისა 41-ე სვლაზე ინგლისელი დიდოსტატი დანებდა და ანგარიში გახდა 3,5-0,5.

# კარპოვი 3,5 ტიმანი 2,5

ჰოლანდიაში, სადაც ფიდე აღენს თავის მსოფლიოს ჩემპიონს ანგარიში გახდა 3,5-2,5 ანატოლი კარპოვის სასარგებლოდ. მეექვსე პარტიაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა თეთრი ფიგურებით ითამაშა და მეტოქე, ჰოლანდიელი იან ტიმანი, 33-ე სვლაზე აიძულა თავი დამარცხებულად ეცნო.

ჩოგბურთი

# ნასტასედან სამპრასამდე





ქვემოთ მოყვანილი სია გვიჩვენებს, თუ ვინ რამდენი კვირა იყო მსოფლიოს პირველი „ჩოგანი". ფრჩხილებში აღნიშნულია „დიდი სლემის" ტურნირებში გამარჯვებათა რაოდენობა.

| | | | |
|---|---|---|---|
| ივან ლენდლი | ჩეხოსლოვაკია, აშშ | 270 | (8) |
| ჯიმი კონორსი | აშშ | 268 | (8) |
| ჯონ მაკინროუ | აშშ | 170 | (7) |
| ბიორნ ბორგი | შვედეთი | 109 | (11) |
| სტეფან ედბერგი | შვედეთი | 72 | (6) |
| ჯიმ კურიე | აშშ | 55 | (4) |
| ილიე ნასტასე | რუმინეთი | 40 | (2) |
| მატს ვილანდერი | შვედეთი | 20 | (7) |
| პიტ სამპრასი | აშშ | 20 | (3) |
| ბორის ბეკერი | გერმანია | 12 | (5) |
| ჯონ ნიუკომბი | ავსტრალია | 8 | (7) |

გასულ კვირას, აშშ-ის ღია ჩემპიონატში წარმატებით გამოსვლის შემდეგ, 22 წლის პიტ სამპრასი კვლავ სათავეში მოექცა მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა სიას. როგორც ცნობილია, მოთამაშეთა რეიტინგი ყოველი კვირის დასაწყისში ქვეყნდება.

სამპრასი, რომელიც მანამდეც, ამა წლის 12 აპრილიდან 23 აგვისტომდე — 19 კვირის მანძილზე ლიდერობდა კლასიფიკაციას, მეთერთმეტეა, ვინც ეს შეძლო.

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) კომპიუტერის მიერ შედგენილი რეიტინგ-ლისტი პირველად ოცი წის წინ, 1973 წლის 23 აგვისტოს გამოქვეყნდა. სიას სათავეში ედგა 26 წლის რუმინელი ილიე ნასტასე. მისი ბრწყინვალე თამაში ჩოგბურთის ქართველ გულშემატკივრებს უდაოდ ემახსოვრებათ. 1972 წლის ივლისში, დევისის თასის ევროპული ზონის ფინალურ მატჩში იგი იონ ცირიაკთან ერთად თბილისში, „დინამოს" კორტებზე, ალექსანდრე მეტრეველისა და თეიმურაზ კაკულიასგან შემდგარ საბჭოთა ნაკრებს ეთამაშა. ნასტასეს ფოტოც, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, სწორედ იმ შეხვედრის დროს გადავიღეთ. ბარემ ანგარიშსაც შეგახსენებთ — 3:2 რუმინელთა სასარგებლოდ.

ნასტასე ზედიზედ ორმოცი კვირა — 1974 წლის 3 ივნისამდე ლიდერობდა. მისგან ესტაფეტა 30 წლის ავსტრალიელმა ჯონ ნიუკომბმა მიიღო. სხვათა შორის, ნიუკომბი მწვანე კონტინენტის სახელოვან წარმომადგენლთაგან ერთადერთია, ვისაც ეს პატივი ერგო.

აღსანიშნავია ამერიკელი ჯიმი კონორსის რეკორდი — მას 1974 წლის 29 ივლისიდან 3 წელზე ოდნავ მეტ ხანს — ზედიზედ 160 კვირის მანძილზე არავისთვის დაუთმია ლიდერობა. მას ოდნავ ჩამორჩა ლენდლი — 157.

ახლა კი ორიოდე სიტყვით გრანდების მე-11 „მეფეზე". პიტ სამპრასი დაიბადა ვაშინგტონის მახლობლად, პატარა ქალაქ პოტომაკში 1971 წლის 12 აგვისტოს, ბერძნული წარმოშობის ამერიკელის ოჯახში. ჩოგბურთის თამაში ექვსი წლისამ დაიწყო. ჭაბუკობაში გავლილი აქვს საქვეყნოდ ცნობილი ნიკ ბოლეტიერის აკადემიის კურსი.

ამ სიმპათიური ახალგაზრდის კორექტული ქცევა კორტზე ყველასთვის სამაგალითოა. ის არასოდეს კარგავს წონასწორობას.

პიტის თქმით, მისი თამაშის დონის ამაღლებაში პირად მწვრთნელს, ჯო ბრენდის არ მიუძღვის იმდენი წვლილი, რამდენიც სახელგანთქმულ ივან ლენდლს. 1989 წლის დეკემბერში მან თავისთან, გრინვიჩში მიიწვია სამპრასი სპარინგ-პარტნიორად. თანამშრომლობა ორივესთვის ნაყოფიერი გამოდგა — ლენდლმა კიდევ კარგა ხნით შეინარჩუნა პირველი „ჩოგნის" სახელი, სამპრასმა კი აშშ-ის ღია პირველობა მოიგო.

წლევანდელი სეზონი პიტისთვის განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა. „დიდი სლემის" ოთხი ტურნირიდან ყველაზე რთულის, უიმბლდონისა და აშშ-ის ჩემპიონატის მოგება მის უდიდეს შესაძლებლობებზე მეტყველებს. სპეციალისტთა უმრავლესობა სწორედ სამპრასს თვლის ლიდერთაგან ყველაზე ნიჭიერ ჩოგბურთელად. იქნებ ერთ-ორ წელიწადში მან „დიდ სლემსაც" გამოჰკრას ხელი, რაც 1969 წელს ლეგენდარული ავსტრალიელი ცაციის, როდ ლეივერის ტრიუმფის შემდეგ ვერავინ შესძლო.

**გია ახალაძე**

### პაჟთა სადღეისო კლასიფიკაცია

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | პიტ სამპრასი | აშშ | 3925 |
| 2 | ჯიმ კურიე | აშშ | 3729 |
| 3 | ბორის ბეკერი | გერმანია | 2827 |
| 4 | სერხი ბრუგერა | ესპანეთი | 2661 |
| 5 | სტეფან ედბერგი | შვედეთი | 2530 |
| 6 | მიხაელ შტიხი | გერმანია | 2392 |
| 7 | ანდრეი მედვედევი | უკრაინა | 2267 |
| 8 | მაიკლ ჩანგი | აშშ | 2105 |
| 9 | რიხარდ კრაიჩეკი | ჰოლანდია | 2001 |
| 10 | გორან ივანიშევიჩი | ხორვატია | 1905 |

მძლეოსნობა

# ყოველდღიური მარათონი

დასრულდა მძლეოსანთა „გრან პრის" პროგრამა. ფინალი, რომელშიც მთელი წლის მანძილზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით შერჩეული ათლეტები მონაწილეობდნენ, ლონდონში, „კრისტალ პალასის" სტადიონზე წინა შაბათს, 11 სექტემბერს გაიმართა. შეჯიბრებას 25 ათასი კაცი დაესწრო.

ფინალში, გამარჯვებისათვის დაწესებული 30 ათასი დოლარის გარდა სხვა პრიზიც თამაშდებოდა. „გრან პრის" ორგანიზატორებმა შეიმუშავეს სისტემა, რომლის მიხედვითაც სერიალის ყოველ შეჯიბრში მძლეოსნებს ქულათა გარკვეულ რაოდენობას ურიცხავდნენ დაკავებული ადგილისა და შედეგის შესაბამისად. ერთი სიტყვით, ამ სისტემით სხვადასხვა სახეობაში მოასპარეზე ათლეტთა ერთმანეთთან გაჯიბრება შეიძლებოდა.

ლონდონის ფინალის წინ ჩეხი შუბის მტყორცნელი იან ჟელეზნი, ალჟირელი კილომეტრნახევარზე მორბენალი ნურადინ მორსელი, ბრიტანელი თარჯმორბენალი კოლინ ჯექსონი, ამერიკელი სიგრძეზე მხტომელი მაიკ პაუელი და უკრაინელი მეჭოკე სერგეი ბუბკა დაწინაურებულიყვნენ, ქალთაგან მთავარი პრიზის — დამატებით 100 ათასი დოლარის მოგების შანსი კი ირლანდიელ 3 000 მეტრზე მორბენალ სონია ო'სალივანს, ბულგარელ სიმაღლეზე მხტომელ სტეფკა კოსტადინოვას, მოზამბიკელ ორ წრეზე მორბენალ მარია მუტოლასა და ერთ წრეზე ამერიკელ თარჯმორბენალ სანდრა ფარმერ-პატრიკს ჰქონდათ.

100 ათასი დოლარის ხვედრი შეჯიბრების ბოლო 15 წუთში გადაწყდა. ჟელეზნიმ შუბი 88,28 მ ტყორცნა, მორსელი, ჯექსონი და პაუელი კი ამის ბადალ შედეგს ვერ შესწვდნენ. ბუბკა ჟელეზნის საჯობნად 6,05 მ უნდა გადამხტარიყო. მეორე ცდით უკრაინელი მართლაც გადახტა ამ სიმაღლეზე და მძლეოსნობის ისტორიაში პირველმა მოიგო ერთბაშად 130 ათასი დოლარი.

ქალებში პირველმა ო'სალივანმა ირბინა. მის გასასწრებად კოსტადინოვა 2 მეტრზე უნდა გადამხტარიყო, მუტოლას კი 1.56 ეჩვენებინა. ორივე ამაოდ დაშვრა; სულ ბოლო სახეობაშიც კი ფარმერ-პატრიკმა აჯობა ბრიტანელ სალი განელს და მსოფლიოს ჩემპიონატზე წაგებისთვის რევანშის აღების გარდა 130 000 დოლარიც დაიუნჯა.



„გრან-პრის" მფლობელი სანდრა ფარმერ-პატრიკი

კვირას ლონდონის შეჯიბრების მონაწილეთა ერთი ნაწილი ედინბურგელებმა გადაიპატიჟეს და ქალაქის ქუჩებში ერთი მილი (1609 მეტრი) გაარბენინეს. ფინიშამდე 400 მეტრი რომ რჩებოდა, სამ ცნობილ კენიელს გაასწრო ბრიტანელმა მეთიუ იეიტსმა და გაიმარჯვა. მისი შედეგი 3.56 იყო.

ამასობაში, პეკინის მუშათა სტადიონზე მიმდინარე სრულიად ჩინეთის სპორტული თამაშების მონაწილე ჩინელმა მორბენალმა ქალებმა მძლეოსნური სამყარო საფუძვლიანად ააფორიაქეს: ოთხშაბათს, შაბათს, კვირასა და ორშაბათს თითო მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესეს. განსაკუთრებით ისახელა თავი ვან ცზუნსიამ, რომელმაც ჯერ იყო და 10 კმ-ზე რბენა მოიგო, მერე კი ორჯერ — წინასწარ და ფინალურ გარბენებში გააუმჯობესა 3 კმ-ზე რბენის რეკორდი. საბოლოო, ორშაბათის შედეგია 8.06,11.

მსოფლიოს მასმედიამ უმალ მითქმამოთქმა ატეხა — ამდენი რეკორდი რა ამბავია, ჩინელები უთუოდ რაღაცას მამაძაღლობენ, კარგად შენიღბულ დოპინგს აძლევენ თავიანთ ქალებს და ისინიც ქვეყნისა და რეჟიმის სადიდებლად ზედიზედ ამხობენ რეკორდებსო.

ჩინელებს სახელმოხვეჭილი დამცველებიც გამოუჩდნენ. ხმა ბრიტანელებმა — ლინფორდ კრისტიმ და ზემოთხსენებულმა ჯექსონმა აიმაღლეს. აზიელებს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) სამედიცინო კომიტეტის თავმჯდომარე არმო იუნგკვისტიც გამოექომაგა. მან განაცხადა, რომ ასე ხელაღებით, უსაბუთოდ ბრალის დადება უპასუხისმგებლო საქციელია და როგორც მძლეოსნობის მუშაკს, ძლიერაც მეწყინაო! მისივე მტკიცებით, ჩინეთის მძლეოსნობის შამები თურმე ყოველმხრივ თანამშრომლობენ იააფ-თან დოპინგ-კონტროლის განსახორციელებლად და ამიტომ ეჭვი სრულიად უსაფუძვლოაო, თან ისიც აღნიშნა, რომ რეკორდები იმ სახეობებში გაუმჯობესდა, რომლებიც ქალთათვის ახალი ხილია და სადაც ჯერ კიდევ დიდი რეზერვია დარჩენილიო.

იუნგკვისტს მხარი აუბეს ჩინეთის მძლეოსნობის ხელისუფლებმაც. მათ აღიარეს, რომ მეცნიერული მეთოდების გამოყენებაში ჯერაც ბევრად ჩამორჩებიან აშშ-ს, გერმანიასა თუ რუსეთს, და თანაც წარმატებას სულ ერთ-ორ სახეობაში მიაღწიეს. როგორც გაირკვა, ჩინელების სტაიერი ქალები ქვეყნის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთში, ლიაონინის პროვინციის დედაქალაქ შენიანის ფიზკულტურის კოლეჯში მეცადინეობენ. ყველანი სოფლელები ყოფილან და ცხოვრების წესის გამო თურმე კარგადაც დარბიან. არც სიბეჯითე აკლიათ, რადგანაც ოდენ რბენით შეძლებიათ ცხოვრებაში თავის გამოჩენა და დაწინაურება. თანაც, ჩინელი ქალები, იქაურთა მტკიცებით, საოცრად თვინიერნი და მორჩილნი ყოფილან და თურმე იოლად თანხმდებიან, მაღალმთიანეთში ყოველდღიურად მარათონის ტოლი მანძილი რომ გაირბინონ.

რაც შეეხება დოპინგს, ჩინელები თურმე მუხლუხოებისგან დამზადებულ სასმელს ეტანებიან, ეს კი ჩაითვლება თუ არა დოპინგად, კიდევ გასარკვევია.

### მსოფლიოს რეკორდები. მძლეოსნობა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ქალები | | | |
| 100 მ. | 10,49 | ფლორენს გრიფიტ-ჯოინერი | აშშ | 16.07.88 | ინდიანაპოლისი |
| 200 მ. | 21,34 | ფლორენს გრიფიტ-ჯოინერი | აშშ | 29.09.88 | სეული |
| 400 მ. | 47,60 | მარიტა კოხი | გდრ | 6.10.85 | კანბერა |
| 800 მ. | 1.53,28 | იარმილა კრატოხვილოვა | ჩეხოსლ. | 26.07.83 | მიუნხენი |
| 1500 მ. | 3.50,46 | ლიუ დუნი | ჩინეთი | 11.09.93 | პეკინი |
| 3000 მ. | 8.06,11 | ვან ცზუნსია | ჩინეთი | 13.09.93 | პეკინი |
| 10000 მ. | 29.31,78 | ვან ცზუნსია | ჩინეთი | 8.09.93 | პეკინი |
| მარათონი | 2:21.06 | ინგრიდ კრისტიანსენი | ნორვეგია | 21.04.85 | ლონდონი |
| 4X100 მ. | 41,37 | გდრ | | 6.10.85 | კანბერა |
| 4X400 მ. | 3.15,17 | სსრკ | | 1.10.88 | სეული |
| 100 მ.თ. | 12,21 | იორდანკა დონკოვა | ბულგარეთი | 20.08.88 | სტარა ზაგორა |
| 400 მ. თ. | 52,74 | სალი განელი | ბრიტანეთი | 19.08.93 | შტუტგარტი |
| 10 კმ. ს. | 41.30 | კერი საქსბი | ავსტრალია | 27.08.88 | კანბერა |
| სიგრძე | 7 52 | გალინა ჩისტიაკოვა | სსრკ | 11.06.88 | ლენინგრადი |
| სამხტომი | 15 09 | ანა ბირიუკოვა | რუსეთი | 21.08.93 | შტუტგარტი |
| სიმაღლე | 2 09 | სტეფკა კოსტადინოვა | ბულგარეთი | 30.08.87 | რომი |
| ბირთვი | 22 63 | ნატალია ლისოვსკაია | სსრკ | 7.06.87 | მოსკოვი |
| ბადრო | 76 80 | გაბრიელა რაინში | გდრ | 9.07.88 | ნოიბრანდენბურგი |
| შუბი | 80 00 | პეტრა ფელკე | გდრ | 9.09.88 | პოტსდამი |
| შვიდჭიდი | 7291 | ჯეკი ჯოინერ-კერსი | აშშ | 24.09.88 | სეული |
| | | ვაჟები | | | |
| 100 მ. | 9,86 | კარლ ლუისი | აშშ | 25.08.91 | ტოკიო |
| 200 მ. | 19,72 | პიეტრო მენეა | იტალია | 12.09.79 | მეხიკო |
| 400 მ. | 43,29 | ბუჩ რეინოლდსი | აშშ | 17.08.88 | ციურიხი |
| 800 მ. | 1.41,73 | სებასტიან კოუ | ბრიტანეთი | 10.06.81 | ფლორენცია |
| 1500 მ. | 3.28,86 | ნურადინ მორსელი | ალჟირი | 6.09.92 | რიეტი |
| 5000 მ. | 12.58,39 | საიდ აუიტა | მაროკო | 22.07.87 | რომი |
| 10000 მ. | 26.58,38 | იობეს ონდიეკი | კენია | 10.07.93 | ოსლო |
| მარათონი | 2:06.50 | ბელაინე დინსამო | ეთიოპია | 17.04.88 | როტერდამი |
| 4X100 მ. | 37,40 | აშშ | | 8.08.92 | ბარსელონა |
| | | აშშ | | 21.09.93 | შტუტგარტი |
| 4X400 მ. | 2.54,29 | აშშ | | 22.09.93 | შტუტგარტი |
| 110 მ. თ. | 12,91 | კოლინ ჯექსონი | ბრიტანეთი | 20.09.93 | შტუტგარტი |
| 400 მ. თ. | 46,78 | კევინ იანგი | აშშ | 6.08.92 | ბარსელონა |
| 3000 მ. დ. | 8.02,08 | მოზეს კიპტანუი | კენია | 19.08.92 | ციურიხი |
| 20 კმ. ს. | 1:18.13 | პაველ ბლაჟეკი | ჩეხოსლოვაკია | 16.09.90 | ჰილდესჰაიმი |
| 50 კმ. ს. | 3:37.41 | ანდრეი პერლოვი | სსრკ | 5.08.89 | ლენინგრადი |
| სიგრძე | 8 95 | მაიკ პაუელი | აშშ | 30.08.91 | ტოკიო |
| სამხტომი | 17 97 | ვილი ბენქსი | აშშ | 16.06.85 | ინდიანაპოლისი |
| სიმაღლე | 2 45 | ხავიერ სოტომაიორი | კუბა | 27.07.93 | სალამანკა |
| ჭოკი | 6 13 | სერგეი ბუბკა | უკრაინა | 19.09.92 | ტოკიო |
| ბირთვი | 23 12 | რენდი ბარნსი | აშშ | 20.05.90 | ლოს ანჯელესი |
| ბადრო | 74 08 | იურგენ შულტი | გდრ | 6.06.86 | ნოიბრანდენბურგი |
| შუბი | 95 66 | იან ჟელეზნი | ჩეხეთი | 29.08.93 | შეფილდი |
| ურო | 86 74 | იური სედიხი | სსრკ | 30.08.86 | შტუტგარტი |
| ათჭიდი | 8891 | დენ ო ბრაიენი | აშშ | 5.09.92 | ტალანსი |

# ტოტოლოტო

## საფეხბურთო პროგნოზი

ტირაჟი № 28 — 29 სექტემბერი

| | | I მატჩი | პროგნოზი | |
|---|---|---|---|---|
| | **უეფას თასი** | | | |
| 1 | აინტრახტი (გერ.) — დინამო (მ) | 6:0 | 8 1 1 | 1 |
| 2 | ლოკომოტივი (მ) — იუვენტუსი (იტ.) | 0:3 | 2 5 3 | X 2 |
| 3 | სპარტაკი (ვლ) — დორტმუნდი (გერ.) | 0:0 | 3 3 4 | 1 X 2 |
| 4 | ადმირა-ვაკერი (ავსტ.) — დნეპრი | 0:1 | 4 3 3 | 1 X 2 |
| 5 | ეინდჰოვენი (ჰოლ.) — კარლსრუე (გერ.) | 1:2 | 6 3 1 | 1 |
| 6 | სელტიკი (შოტ.) — იანგ ბოიზი (შვეიც.) | 0:0 | 4 3 3 | 1 X 2 |
| 7 | მარიტიმუ (პორტ.) — ანტვერპენი (ბელგ.) | 0:2 | 2 4 4 | X 2 |
| 8 | ლოკომოტივი (ბულგ.) — ლაციო (იტ.) | 0:2 | 4 3 3 | 1 X 2 |
| 9 | ოლიმპიაკოსი (საბ.) — ბოტევი (ბულგ.) | 3:2 | 5 3 2 | 1 X |
| 10 | ატლეტიკო (ესპ.) — პართსი (შოტ.) | 1:2 | 6 2 2 | 1 |
| 11 | დ. იუნაიტედი (შოტ) — ბრონდბიუ (დან) | 0:2 | 4 3 3 | 1 X 2 |

შედეგი ითვლება ძირითადი დროის მიხედვით

შევსებული ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა: თბილისში — ყოველი კვირის ხუთშაბათი, 17 საათამდე, ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში. ქუთაისში — ალმაშენებლის ქ. № 1, სპორტლოტოს სამმართველოში, ყოველი კვირის ხუთშაბათი. 12 საათამდე. რუსთავში — ყოველი კვირის ოთხშაბათი, 17 საათამდე, ცენტრალურ ფოსტაში. ცნობებისთვის დარეკეთ: 96-32-61

# სარბიელი

# ტოტალიზატორი "CROCO"

თამაშის წესები:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგება შეადგენს დადებული თანხის ოთხმაგ რაოდენობას.

ფსონის მინიმალური თანხაა 1000 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

ფსონების მიღება წყდება მატჩის დღეს 16 საათზე. მოგებები გაიცემა მატჩის მეორე დღესვე, ერთი კვირის განმავლობაში.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში 13-დან 16 საათამდე. სასტუმრო „აჭარაში" ფსონების მიღება დროებით შეჩერებულია.

### უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 18 სექტემბერი | მანჩესტერ იუნაიტედი — არსენალი | | 1,5 | 2,5 | 3,7 |
| | ქუინზ პარკი — ნორვიჩი | | 1,8 | 2,1 | 3,0 |
| | ევერტონი — ლივერპული | | 2,2 | 2,2 | 2,2 |
| | კარლსრუე — ვერდერი | | 2,0 | 1,9 | 3,0 |
| | დუისბურგი — დორტმუნდი | | 2,0 | 1,9 | 3,0 |
| | ლევერკუზენი — აინტრახტი | | 2,0 | 1,9 | 3,0 |
| 19 სექტემბერი | დეპორტივო — რეალ მადრიდი | | 2,1 | 2,1 | 2,5 |
| | ვალიადოლიდი — სევილია | | 2,1 | 2,1 | 2,5 |
| | ატლეტიკო — ბარსელონა | | 2,1 | 2,1 | 2,5 |
| | ატალანტა — კრემონეზე | | 1,3 | 2,1 | 7,5 |
| | ფოჯა — კალიარი | | 1,4 | 2,1 | 5,3 |
| | ჯენოა — ნაპოლი | | 1,8 | 2,1 | 3,0 |
| | ლაციო — ინტერი | | 2,0 | 1,9 | 3,0 |
| | მილანი — რომა | | 1,2 | 2,2 | 8,3 |
| | პარმა — ტორინო | | 1,8 | 1,9 | 3,4 |
| | უდინეზე — სამპდორია | | 2,0 | 2,0 | 2,6 |
| | ბრაზილია — ურუგვაი | | 1,2 | 2,2 | 8,3 |
| | ეკვადორი — ბოლივია | | 5,7 | 1,6 | 1,7 |
| 22 სექტემბერი | ნორვეგია — პოლონეთი | 0:1 | 2,0 | 1,9 | 3,0 |

**წინა ტურების შედეგები:**

12 სექტემბერი: ვალენსია — ატლეტიკო 2:2. 15 სექტემბერი: დინამო კიევი — ბარსელონა 3:1, პონვედი — მანჩესტერ იუნაიტედი 2:3, ტვენტე — ბაიერნი 3:4, ნორვიჩი — ვიტესი 3:0, პართსი — ატლეტიკო მადრიდი 2:1, ნორჩიოპინგი — მეხელენი 4:1, კარლსრუე — ეინდჰოვენი 2:1, დინამო მოსკოვი — აინტრახტი 0:6, ბრონდბიუ — დანდი იუნაიტედი 2:0, დინამო ბუქარესტი — კალიარი ?, დორტმუნდი — ვლადიკავკაზი 0:0 (2)

# შედეგთა დაფა

## ავტორბოლა

„ინდიკარის" ჩემპიონატის XIV ეტაპი. ლექსინგტონი (ოჰაიოს შტატი), 12 IX

1. ემერსონ ფიტიპალდი (ბრაზილია, „პენსკე-შევროლე"), 2. რობი გორდონი (აშშ, „ფორდ-კოსუორტი"), 3. სკოტ გუდიარი (კანადა, „ფორდ-კოსუორტი"). ლიდერმა ნაიჯელ მენსელმა ამ რბოლაში მე-12 ადგილი დაიკავა და საერთო ჩათვლაში ფიტიპალდის 34 ქულით უსწრებს

## მშვილდოსნობა

მსოფლიოს ჩემპიონატი. ანტალია (თურქეთი). 8-12 სექტემბერი

გუნდური პირველობა. ქალები. ნახევარფინალი: კორეა — ჩინეთი 241:229, რუსეთი — უკრაინა 221:217. ფინალი: კორეა — რუსეთი 236:224, III ადგილისთვის: ჩინეთი — უკრაინა 229:214. კაცები. ფინალი: საფრანგეთი — კორეა 249:244. მესამე ადგილისთვის: პოლანდია — ფინეთი 244:236

## კრიკეტი

სამხრეთი აფრიკის ტურნე შრი-ლანკაზე. მესამე, ბოლო ტესტი (წინა ორი უშედეგოდ დამთავრდა). კოლომბო

სამშაბათი, 14 IX. პირველი შესვლა. სამხრეთი აფრიკა 128 გარბენი 5 გაგდებულის სანაცვლოდ (სამხრამდე); 231—5 (დღის ბოლოსთვის): პადსონი 51 გარბენი, ვესელსი (კაპიტანი) 26, კრონიე (ვიცე-კაპიტანი), როუდსი, მაკმილანი გავარდნენ; კოლივენი 85, რიჩარდსონი 51

ოთხშაბათი, 15 IX. სამხრეთი აფრიკა 316—ყველა (პირველ შესვლაში): მურლიტრანმა 4 ტაფელოსანი გაუგდოთ 64 გარბენის სანაცვლოდ. შრი-ლანკა 117—3: პადურასინგა 1, მაპანამა 25, დასანაიკა 27 გავარდნენ; რანოტუნგა (კაპიტანი) და დასილვა ზოლზე თამაშობდნენ შებინდებისას

ხუთშაბათი, 16 IX (დილით). შრი-ლანკა (აგრძელებდა პირველ შესვლას) 142—3: დასილვა 55, რანოტუნგა 45

## მოტორბოლა

500 კუბური სანტიმეტრის კლასი. მსოფლიო პირველობის ბოლოსწინა, XIII ეტაპი. „აშშ-ის დიდი პრიზი". ლაგუნა სეიკერის ტრასა, მონტრეი (კალიფორნია)

შაბათი, 11 IX. შესარჩევი რბოლა. 1. მაიკ დუენი (ავსტრალია, „ჰონდა"); 2. ჯონ კუზინსკი (აშშ, „კაუჯივა"); 3. ლუკა კადალორა (იტალია, „იამაჰა")

კვირა, 12.IX. „გრან პრის" რბოლა. 1. კუზინსკი (პირველი „გრან პრი" მოიგო); 2. ალექს ბაროსი (ბრაზილია); 3. კადალორა. დუენი, რომელიც თითქმის ბოლომდე ლიდერობდა, დაეცა და ლავინი მოიტეხა

ლიდერობს კევინ შვონცი (აშშ)

## რაგბი

ამერის პირველობა. II ჯგუფი

ხაშური 8 ლელო 41

აკადემიამ გუნდი ვერ შეკრიბა რაშთან სათამაშოდ და წაგება მიესაჯა

რაში 58 უნივერსიტეტი 7

14.IX. ვაკე. ლავრი 31 რაში 5.

აკადემია ზაფხულის არდადეგებამდე ვერ ეწვია ხაშურს და წაგება მიესაჯა. მარაო არდადეგების შემდეგ გამოაკლდა შეჯიბრებას, რის გამოც თითო მოგება შეემატა ყველას, გარდა ხაშურისა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლავრი | 10 | 10 | 0 | 0 | 240- 48 | 20 |
| რაში | 11 | 8 | 0 | 3 | 267-123 | 16 |
| ლელო | 9 | 7 | 0 | 2 | 391-139 | 14 |
| ხაშური | 9 | 4 | 0 | 5 | 105-207 | 8 |
| უნივერსიტ. | 8 | 2 | 0 | 6 | 111-199 | 4 |
| აკადემია | 9 | 3 | 0 | 6 | 97-112 | 3 |
| მარაო | 12 | 0 | 0 | 12 | 27-410 | -5 |

აკადემიას დაექვითა 3, მარაოს — 5 ქულა


საშუამავლო-კომერციული ფირმა

„რენესანსი"

დაგეხმარებათ ინტერიერის კომფორტულად მოწყობაში, იმპორტული ავეჯის, რადიოტელეაპარატურის და სხვა საჭირო ნივთების შეძენა-გაყიდვაში. ფირმა ეფექტური და უსაფრთხო მომსახურების გარანტიას იძლევა.

ჩვენი მისამართია: სულხან-საბას ქ. № 4

ტელეფონი: 93-52-63, 23-58-55 (საღამოს)


## საჯილდაო

### მეოთხე ღრის პასუხები

(1) რომელ წელს, სად და ვის გაუტანა შოთა ხინჩაგაშვილმა გოლი? როგორ დამთავრდა თამაში?
— 1970 წლის აგვისტოში, ლუჟნიკებში, იაშინს. თბილისელებმა სსრკ თასის ფინალი წააგეს მოსკოვის დინამოსთან 1:2

(2) რომელი საჩოგბურთო შეჯიბრებები შედის „დიდ სლემში"? როგორი თანმიმდევრობით იმართება?
— ავსტრალიის, საფრანგეთის, „ინგლისისა" და აშშ-ის ღია პირველობები

(3) ხელბურთი როდის შეიტანეს ოლიმპიადაში? ვინ იყვნენ პირველი ჩემპიონები?
— ვაჟთა ხელბურთი 1972 წელს, ქალთა — 1976 წელს; შესაბამისად იუგოსლავია და სსრკ

(4) რამდენ მწკრივად დაწყობილი რამდენი ქვით რამდენ უჯრაზე თამაშობენ საერთაშორისო შაშს? როგორი დროის კონტროლით?
— ოთხ მწკრივად დაწყობილი 20 ქვით ასუჯრიან დაფაზე; 50 სვლისთვის ორი საათი

(5) სად და როდის მოიპოვა იუგოსლავიის ვაჟ კალათბურთელთა ნაკრებმა პირველი მნიშვნელოვანი ტიტული? რისი ჩემპიონი გახდა?
— 1970 წელს იუგოსლავიამ შინ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი

(6) რომელ საჭადრაკო ოლიმპიადაში არ მონაწილეობდნენ საბჭოელები (როდის? სად? რატომ?)
— 1976 წელს საბჭოელმა მოჭადრაკეებმა ცხადი მიზეზის გამო ბოიკოტი გამოუცხადეს ხაიფაში (ისრაელი) გამართულ ოლიმპიადას

(7) სად და როდის გაიმართა რაგბის პირველი მსოფლიო ჩემპიონატი? ვინ გაიმარჯვა?
— 1987 წელს ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში; გაიმარჯვა ახალმა ზელანდიამ

(8) პირველად სად და როდის მოიგეს რუსმა ჰოკეისტებმა მსოფლიოს ჩემპიონობა? მერამდენე ცდით? ბოლო თამაშში ვის სძლიეს?
— 1954 წელს; შვედეთში; პირველივე ცდით; კანადას

(9) მძლეოსანთა შორის ვინაა ერთადერთი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი? სად და როდის გაიმარჯვა და რა შედეგით?
— რობერტ შავლაყაძე 1960 წლის 1 სექტემბერს რომში 216 სმ გადახტა


შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

«ლომბარდი»

თბილისი, ჯიქიას ქუჩა, 8

კომერციული ბანკი მინაგრობანკი

MB

Commercial Bank MINAGOBANK

სასტუმრო „აჭარა" ოფისი № 305 ტელეფონი: 369 096, 369 407

„ბანკი, რომელსაც არ ჰყავს უკმაყოფილო კლიენტი"

## ჭადრაკი

# მჯერა, მეტსაც მივაღწევთ



**— „სარბიელის“ მკითხველები იცნობენ ჯაკარტის ტურნირის შედეგებს, მაგრამ ბევრი კითხულობს: რა მოხდა ფინიშზე, რატომ არ იბრძოლა მაიამ პირველი ადგილისთვის?**

— საქმე ისაა, რომ ტურნირი ემოციურად მეტად დაძაბული იყო. ჩანს, ამან მეც დამღალა, რის შედეგადაც უხეში შეცდომა მომივიდა ალისა მარიჩთან და მოგების მაგიერ წავაგე. მერე ყაიმით დავასრულე მომდევნო სამი პარტია და პრეტენდენტთა ტურნირის საგზური გავინაღდე. ცხადია, პირველი ადგილი უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, მაგრამ ჯაკარტაში თამაშის მთავარი მიზანი ბოლოსდაბოლოს ხომ პრეტენდენტთა ტურნირში გასვლა იყო.

**— თქვენი შემოქმედებით თუ ხართ კმაყოფილი?**

— უფრო მეტად, ვიდრე სპორტულით მხარით. ჩემი აზრით, კარგად მოვუგე პია კრამლინგს და ალისა გალიამოვა-ივანჩუკს. შეცდომამდე მარიჩთანაც კარგი პარტია მქონდა.

რაკის პოლანდიელმა მეცენატმა იოპ ოსტერომმა შემოიღო ზემოხსენებული ტურნირი — „ქალბატონები ბატონების წინააღმდეგ“. სხვათაშორის, ეს ის მეცენატია, რომელმაც დააფინანსა ჟუჟა პოლგარისა და ნანა იოსელიანის მატჩი, ახლა კი ნანასა და მსოფლიო ჩემპიონ სე ცზიუნის შეხვედრის მასპინძელ-ორგანიზატორია. როგორც იცით, ეს მატჩი 24 ოქტომბერს დაიწყება მონტე-კარლოში, სადაც ბატონი ოსტერომი ცხოვრობს.

**— ვიდრე ვისაუბრებთ სე ცზიუნ — იოსელიანის მატჩზე, მინდა გკითხოთ: მართალია, თუ არა ის, რაც ჟურნალ „64-შახმატნოე ობოზრენიეს“ წლევანდელ მეოთხე ნომერში ამოვიკითხე? იქ წერია, რომ შარშან შანხაიდან შინ რომ ბრუნდებოდით, თვითმფრინავში ნანასთვის თქვენი შეხედულება გაგიზიარებიათ ჟუჟა პოლგარის თამაშის ავ-კარგზე, რისთვისაც ნანა მადლიერების გრძნობით**

# თუ მშვიდობა დამკვიდრდა საქართველოში

**დღეს, საქართველოსთვის დიდი განსაცდელის ჟამს, ხშირად გაისმის: „ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს“. ეს სიტყვები ზედგამოჭრილია ქართველი მოჭადრაკეებზე. მათი ბოლოდროინდელი მიღწევები სიხარულით ავსებენ გულშემატკივრებს. ერთ-ერთი სახელგანთქმული მოჭადრაკეა მაია ჩიბურდანიძე. ამ ორი წლის წინათ მაიამ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დაკარგა, მაგრამ დიდი ტკივილის მიუხედავად, ფარ-ხმალი არ დაუყრია — თავგამოდებით განაგრძობს ბრძოლას „ჭადრაკის დედოფლის“ ტახტის დასაბრუნებლად და კვლავ ამშვენებს მსოფლიო საჭადრაკო ელიტას. ახლახან მაიამ წარმატებით დაასრულა მსოფლიო პირველობის ახალი, 1993-1995 წლების ციკლის საზონათშორისო ტურნირი, რომელიც ინდონეზიის დედაქალაქში მოეწყო: მესამე ადგილი და პრეტენდენტთა ტურნირის საგზური მოიპოვა. მაია ჩიბურდანიძე დღეს „სარბიელის“ სტუმარია.**

**— თქვენ ქართველ კოლეგებზე რას იტყვით?**

— ჩინებულად თამაშობდა ქეთევან არახამია. მან დამსახურებულად გაიმარჯვა. ეს შედეგი ალბათ ყველაზე თვალსაჩინოა ქეთევანის საჭადრაკო კარიერაში. იგი თავგამოდებით იბრძოდა მაშინაც, როცა უარესი პოზიცია ჰქონდა, ამიტომაც თავიდან ბოლომდე ლიდერი იყო. პარტია არ წაუგია. სასიამოვნოა, რომ მან მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც დააღწია თავი „ქრონიკულ ავადმყოფობას“ ცაიტნოტს. თუ საერთოდ განიკურნება ამ „ავისენისაგან“, უფრო დიდ მიღწევებს უნდა ველოდოთ მისგან. არ გაუმართლა ნინო გურიელს. მან ვერ ააწყო თამაში, რასაც ნინო განიცდიდა (იავადმყოფა კიდეც) და ზედმეტი მღელვარება ხელს უშლიდა. ბოლო დღეს პარტია რომ არ წაეგო, პრეტენდენტთა ტურნირის ერთ-ერთი კანდიდატი იქნებოდა. ნინო ხურციძე პირველად თამაშობდა ესოდენ ძლიერი შემადგენლობის ტურნირში, რაც გამოუცდელს ბორკავდა, გაუბედავს ხდიდა, მაგრამ თანდათან გაშინაურდა და რამდენიმე დასამახსოვრებელი პარტია მოიგო. მაგალითად, ტატიანა შუმაკინასთან ხარისხის ლამაზი შეწირვით. ნინოს 17 წელი, ნიჭი და დიდი შრომისუნარიანობა მისი კარგი მომავლის საწინდარია.

**— არაფერი გითქვამთ თქვენს მზადებაზე ამ ტურნირისთვის.**

— შეგნებულად არა ვთქვი, ვინაიდან სათანადოდ ვერ მოვემზადე: მწვრთნელი არა მყავს; 1991 წლიდან აღარ ვმეცადინეობ დიდოსტატ გენადი კუზმინთან არადა, უმწვრთნელოდ უაღრესად ძნელია მსოფლიოს პირველობისთვის ბრძოლა.

**— ამ ბოლო დროს ცოტას თამაშობთ...**

— მართალია. წლეულს მხოლოდ ერთხელ ვითამაშე: გაზაფხულზე, ვენაში, ეგრეთ წოდებული ტურნირი „ქალბატონები ბატონების წინააღმდეგ“.

**— ჩვენი საზოგადოებრიობა არ იცნობს ამ ტურნირის შედეგებს, მასზე არაფერი დაწერილა ქართულ პრესაში.**

— მსგავსი ტურნირი პირველად 1992 წელს კუნძულ არუბაზე (მცირე ანტილის არქიპელაგი) ჩატარდა. ამჯერადაც 6 დიდოსტატი ქალი შევხვდით 6 დიდოსტატ ვაჟს. შეჯიბრება შევენინგენის სისტემით მოეწყო: ქალები ვხვდებოდით მხოლოდ ვაჟებს, ერთმანეთთან არ ვთამაშობდით. ტურნირი ორწრიანი იყო. 12-დან 9 ქულა დავაგროვე და პირველი ადგილი დავიკავე. მეორე ჟუჟა პოლგარი იყო — 7,5. ვაჟთა შორის გაიმარჯვა ბენტ ლარსენმა — 7,5. აი, ჩემი შედეგები: 2:0 მოვუგე ლარსენსა და ანდრია დიუკშტეინს, 1,5:0,5 — ბორისლავ ივკოვს და ფრედერიკ ოლაფსონს, თითო პარტია მოვუგე ვასილი სმისლოვსა და ეფიმ გელერს.

**— როგორი დასკვნები გააკეთეთ ჯაკარტის ტურნირიდან?**

— ის, რომ აუცილებელია კარგი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება. მოჭადრაკეს უნდა სჯეროდეს თავისი ვარსკვლავისა. სწორედ ამ რწმენამ გაამარჯვებინა ქეთევანს ჯაკარტაში.

**— ახლა რა გეგმები გაქვთ?**

— 1994 წლამდე უნდა დავისვენო. ჯერჯერობით შორსაა პრეტენდენტთა ტურნირი. მანამდე, ესე იგი გაისად, რამდენიმე ტურნირში მივიღებ მონაწილეობას.

**— ჯაკარტის ტურნირის წინ გამოცხადდა, რომ მონაწილეთა შორის სოფია პოლგარიც იქნებოდა.**

— მართალია, მაგრამ იგი არ ჩამოვიდა. უფრო მეტიც: მისმა უფროსმა დამ ჟუჟამ შემოგვითვალა, რომ უარს ამბობს პრეტენდენტთა 1994 წლის ტურნირში მონაწილეობაზე. მას აქ თამაშის პერსონალური უფლება ჰქონდა, როგორც პრეტენდენტთა წინა ციკლის ფინალისტს. პირადად მე ეს არ გამკვირვებია. საქმე ისაა, რომ პოლგარებს არა აქვთ გარანტირებული მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. ქალთა ტურნირებში მათ მძაფრი კონკურენციის პირობებში უხდებათ თამაში, რასაც ყოველთვის ვერ უძლებენ. მაგალითად გაიხსენეთ ჟუჟას მატჩი ნანა იოსელიანთან. შესაძლოა, რომ სწორედ ამ მძაფრმა ორთაბრძოლამ აალებინა ხელი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაზე. ამიტომაც სამივე დას ურჩევნია დიდოსტატ ვაჟებთან პაექრობა. აქ მათ დიდი რეკლამა აქვთ, ფულსაც ბევრს ღებულობენ.

**— შესაძლოა ვაჟთა შორის ჩემპიონობაზე ფიქრობენ?**

— არა მგონია. მართალია, იუდითმა დაამარცხა ბორის სპასკი მატჩში, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სპასკი 55 წლისაა და დიდ ძალას აღარ წარმოადგენს. გამოცხადდა, რომ მალე იუდითი ბობი ფიშერს შეხვდება — „სწრაფი ჭადრაკის“ 10 პარტიაში. იუდითის მდიდარ მეცენატებს ამისთვის 6,5 მილიონი დოლარი გამოყვიათ. ეს შეხვედრა უფრო საჭადრაკო შოუ იქნება, ვიდრე სერიოზული პაექრობა. ერთი სიტყვით, ახლა ძნელი სათქმელია, ოდესმე ითამაშებენ თუ არა დები მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დასაუფლებლად.

**— როგორ ფიქრობთ, დაეწიენ თუ არა ქალები ვაჟებს თამაშის ძალით?**

— ვაჟებს მხოლოდ რამდენიმე დიდოსტატი ქალი დაეწია. ისიც არა უპირველეს დიდოსტატებს. მაგრამ ჩვენ მუდამ უნდა მივისწრაფოდეთ ამისკენ, მით უმეტეს, რომ გვყავს ხელისშემწყობნი. ქალთა ჭადრაკის ჰოლანდიელმა მეცენატმა...

გიხსენებთ. ბოლოში ამბობს, რომ მაია ასე დამემუქრაო: „იცოდე, თუ არ მოუგე ჟუჟას, გცემ!“

— (მაია იცინის). მართალია, ვუთხარი ხუმრობით. პოლგართან გამარჯვება იყო ერთადერთი შანსი, საქართველოში ჩემპიონის ტიტული რომ დაგვებრუნებინა. ნანამ საუცხოოდ გამოიყენა ჩემი დაკვირვება: ჟუჟამ ვერ გაუძლო ძალისმიერ, მუდამ დამუხტულ, შეუპოვარ ბრძოლას. ნანა ძლიერი ხასიათის მებრძოლია: გაუტეხელი, თამამი, საკუთარ ძალაში დაჯერებული.

**— გამოდის, რომ ასევე იბრძოლებს ნანა სე ცზიუნთან მატჩში?**

— რა თქმა უნდა. იგი კარგა ხანია სერიოზულად ემზადება ამ შეხვედრისთვის. ჩინელი დიდოსტატი ძლიერი ნებისყოფისაა, მაგრამ, ჩემი აზრით, ნანა უფრო კერკეტია. მოსალოდნელია დიდად მღელვარე და ნერვული ორთაბრძოლა. ნანას რეალური შანსი აქვს, მსოფლიოს ჩემპიონად დაბრუნდეს თბილისში.

**— როგორ მოგწონთ ვაჟთა მსოფლიო პირველობის ორი მატჩი, ახლა რომ ლონდონსა და ჰოლანდიაში მიმდინარეობს?**

— ჩემი აზრით, მსოფლიოს ერთი ჩემპიონი უნდა ჰყავდეს. ჩანს, რაღაც-რაღაც შესაცვლელია ფიდე-ს საქმიანობაში, რაკი მასსა და მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატთა შორის განხეთქილება მოხდა. იქნებ მართალია გარი კასპაროვი, რომ ფიდე-მ მსოფლიოს პირველობის გათამაშება თვით პროფესიონალებს უნდა დაუთმოს, თავად კი მოყვარულთა ჭადრაკს უთავკაცოს. სადავო საკითხების გადასაწყვეტად ფიდე-მ ალბათ უნდა მოიწვიოს მსოფლიოს მოჭადრაკეთა კონგრესი და იქ აქციოს მსჯელობის საგნად საერთაშორისო საჭადრაკო ცხოვრების აქტუალური, მტკივნეული საკითხები. ერთი ვიცი: საჭადრაკო სამყარო აუცილებლად უნდა გამთლიანდეს.

**— ხომ არ საჭიროებს შეცვლას ქალთა მსოფლიო პირველობის გათამაშების სისტემა?**

— მთლიანობაში არა მგონია. ჩემი აზრით, შესაცვლელია საზონათშორისო ტურნირის სისტემა. იგი, როგორც ადრე, ორ ტურნირად, წრიული სისტემით უნდა ტარდებოდეს. შვეიცარიულმა სისტემამ არ გაამართლა. ამაზე ფიდე-ს ქალთა კომისიამ უნდა იმსჯელოს. ამის თაობაზე უკვე ვუთხარი ამ კომისიის თავმჯდომარეს ნანა ალექსანდრიას.

**— საჭადრაკო პრესა რომ აღარ გვაქვს. რას იტყვით?**

— ეს საკითხი მეც მაწუხებს. ცუდი დრო დაუდგა ქართულ პრესას. ქაღალდის უზომოდ გაძვირებამ, სასტამბო ხარჯების მკვეთრად გაზრდამ დიდ გაჭირვებაში ჩააგდო ჩვენი გამომცემლები და ჟურნალისტები. უნდა აღდგეს ქართული საჭადრაკო გაზეთი ან ჟურნალი. დიდი იმედი მაქვს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობისა. ბოლო დროს მათ ბევრი სასიკეთო საქმე წამოიწყეს და პირველი შედეგებიც მოიმკეს: ყმაწვილმა მოჭადრაკეებმა გვასახელეს ევროპისა და მსოფლიო პირველობებში, ჭაბუკთა პირველ ოლიმპიადაზე. მჯერა, მეტსაც მივაღწევთ. მთავარია დამყარდეს ნორმალური, მშვიდობიანი ცხოვრება საქართველოში.

თენგიზ გიორგაძე

გია ახალაძის ფოტო

---




როგორც „სარბიელის“ მკითხველმა იცის, დედამიწის გარშემო ველოსიპედით მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა სარფამდე მივაცილეთ, თურქეთისკენ კი მას გაჰყვა ტელერადიოპროგრამა „ირაოს“ ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ რეჟისორი რევაზ შალიბაშვილი, ოპერატორი ალექსანდრე გრიგორიანი და მხატვარი ზურაბ კალანდაძე. ჯგუფი ახლახან დაბრუნდა და რევაზ შალიბაშვილს ბუნებრივია, ლეჟავას მოგზაურობის შესახებ ვესაუბრეთ.

— თავდაპირველად გადაწყვეტილი გვქონდა, რომ ბატონ ჯუმბერს სარფის იქით ერთი დღის სავალზე გავყოლოდით, მერე კი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ისტორიისა და კულტურის ძეგლები აღგვებეჭდა ფირზე. — გვიამბობს რევაზ შალიბაშვილი. — თურქეთში დავრწმუნდით, რომ უმჯობესი იქნებოდა ჩვენს მოგზაურს იქამდე გავყოლოდით, სადამდეც ბენზინი და ფული გვეყოფოდა. ასეც მოვიქეცით. ჩვენი შესაძლებლობები სამი დღის სამყოფი აღმოჩნდა და ორდუმდე ჩავედით, აქ კი ლეჟავა მეოთხე დილას, 20 აგვისტოს, ქალაქის ბოლომდე მივაცილეთ და დავემშვიდობეთ. აქამდე იგი დღეში საშუალოდ 120-130 კილომეტრს გადიოდა, ფიზიკურად შესანიშნავად იყო და თავს მხნედ გრძნობდა.

საინტერესოა, რომ თურქეთის მესაზღვრეებმა ჯუმბერ ლეჟავას პასპორტში ბეჭედი ჩაურტყეს და მოგზაურობის დანიშნულების პუნქტი აღნიშნეს: ჩაწერეს, რომ იგი დედამიწის გარშემო მოგზაურობსო, მერე კი გულთბილად გამოემშვიდობნენ და მშვიდობიანი მგზავრობა უსურვეს. რა თქმა უნდა, მესაზღვრეებმა ჩვენს მიმართაც ასეთი გულთბილი დამოკიდებულება გამოამჟღავნეს. ასე იყო ჩვენი ერთად მოგზაურობის მანძილზე და ალბათ მომავალშიც ასე იქნება. თუმცა, პოლიციასთან ერთი კურიოზი მაინც შეგვემთხვა — ორდუში ბატონი ჯუმბერისთვის თურქეთის ბატონი ჯუმბერი სულაც არ ჰგავდა მოგზაურს.

ეს ყველაფერი უთუოდ გასათვალისწინებელია, რადგან ჯუმბერ ლეჟავა ერთგვარად საქართველოს დესპანად გვევლინება და უცხოეთში ჩვენს სახეს წარმოადგენს.

**— კვების პრობლემა?**

— ჩვენ კონსერვები გვქონდა წაღებული და ძირითადად ამით ვიკვებებოდით. ამას გარდა, იგი ფულს ძირითადად წვენებზე და ტკბილეულზე ხარჯავდა. ეს გასაგებიცაა. მთელი დღის განმავლობაში სატერფულების ტრიალს უზარმაზარი ენერგია მიაქვს და ორგანიზმი სითხესა და ტკბილეულს ითხოვს. რაც შეეხება ცხელ კერძებს და ხორცეულს, არსად უჭამია. იგი ფულის ხარჯვას ერიდება, ფიქრობს: ვინ იცის, სად როგორ დამჭირდებაო. ამიტომ ყველაზე იაფფასიან სასტუმროებში შედიოდა, სადაც არც აბაზანა იყო, არც ტუალეტი... ასეთი 2,5-3 დოლარიანი სასტუმროების ძებნაში დიდ დროს ვკარგავდით, ნორმალურ სასტუმროში კი ღამისთევა 15-20 დოლარი ღირდა. ყოველივე ამის მიუხედავად, როგორც სპორტსმენებზე იტყვიან, საბრძოლო შემართებითა და სულისკვეთებითაა აღსავსე. სულ იმის ცდაშია, სამშობლო უკეთ როგორ წარმოვაჩინოო.

# გრაფიკის გასწრებით

რუკის საყიდლად დავდიოდით, პოლიციის საგუშაგოსთან მდებარე მაღაზიაში შესულებმა უმალ პირი ვიბრუნეთ, რათა დოლარები გადაგვეხურდავებინა. ეს პოლიციას საეჭვოდ მოეჩვენა და დაგვაკავა. როცა ყველაფერი გაირკვა, ბოდიში მოგვიხადეს. ეს დეტალი იმიტომ მახსენდება, რომ თურქეთის პოლიციელთა ფხიზელი თვალი და თავაზიანობა ბევრი ჩვენი წესრიგის დამცველისთვის სამაგალითო უნდა იყოს.




თურქეთის პრესა უმალ გამოეხმაურა მოგზაურობას

**— ზემოთ თქვით, ბატონი ჯუმბერი თავს ყოველმხრივ ჩინებულად გრძნობსო, მაგრამ თუ ველოსიპედმა უმტყუნა, მხოლოდ სიმხნევით შორს ვერ წავა, არადა, ველოსიპედმა ჯერ კიდევ გორის აღმართზე შეგვაფიქრიანა, როცა საკისრებმა დატვირთვას ვერ გაუძლეს და ჯაჭვი რამდენჯერმე გადმოვარდა.**

— მართლაც, ეს ველოსიპედი, ეტყობა, დიდ მოგზაურობისათვის მთლად საიმედო და მოსახერხებელი არ უნდა იყოს. როცა ტრაპიზონისაკენ მივდიოდით, ლეჟავამ გვითხრა, სატერფულების ტრიალი რაღაც ძალიან გამიჭირდაო. აღმოჩნდა, რომ ველოსიპედი გაფუჭებულა და... თვითდამუხრუჭებაზე გადასულა. საცხებ-საპოხიც მთლად გამოლეულა. ტრაპიზონში ტურიზმის განყოფილებას მივაკითხეთ და ყველანაირი დახმარება და თანადგომა აღმოგვიჩინეს, ველოსიპედიც უსასყიდლოდ გაარემონტეს, გაპოხეს და წესრიგში მოიყვანეს.

**— ლეჟავა ბათუმამდე კარვის გარეშე მოგზაურობდა, მერე კი ველოსიპედი, თუ არ ვცდებით, წონით 40-კილოგრამამდე ჩანთებით დაიტვირთა. მათი ტარება ხომ არ გაუჭირდება?**

— საქართველოში ველოსიპედით ასეთი ხანგრძლივი მოგზაურობის გამოცდილება აქამდე არავის ჰქონია. ამიტომ ყველაფრის განჭვრეტა შეუძლებელი იყო. სამწუხაროდ, ის ჩანთები, რომლებიც ბატონმა ჯუმბერმა ველოსიპედზე დააყენა, ძალზე მოუხერხებელი აღმოჩნდა. თითოეული ნივთის ძებნას დიდ ხანს უნდებოდა. ყოველი შესვენების შემდეგ ჩანთების დამაგრებაზეც მთელ საათს კარგავდა. მათი ტარება მოუხერხებელი იყო. რა თქმა უნდა, ბარგის ტარება, სანამ ერთად ვიყავით, მანქანით ჩვენც შეგვეძლო, მაგრამ ამას განგებ არ ვაკეთებდით, რათა მათ ზედ... [illegible]

**— ეს მოგზაურობა თურქეთში როგორ ინტერესს იწვევს?**

— როგორც ვთქვი, ყველგან გულთბილად გვხვდებოდნენ. ჯერ კიდევ ხოფაში, სადაც პირველად გავჩერდით, ჩვენთან მოვიდა სპორტისა და ტურიზმის განყოფილების გამგე. ლაზი იყო. შემოგვთავაზა, გზად პოლიციის ან სამედიცინო მანქანის გამოყოლას ხომ არ ისურვებდითო. ქალაქის მერთანაც მიგვიყვანა, რომელიც ჩაით გაგვიმასპინძლდა. ამავე ქალაქში ერთ-ერთი ჟურნალის კორესპონდენტებიც მოვიდნენ, მასალები აიღეს და ფოტოებიც გადაგვიღეს... ასეთ დახვედრას აჭარის სპორტისა და ტურიზმის თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ თენგიზ ბოლქვაძეს უნდა ვუმადლოდეთ, რომელმაც მათ ჩვენი ჩასვლის თაობაზე სარფიდან ტელექსი გაუგზავნა. თავის მხრივ, ასეთი ტელექსი მასპინძლებმა ხოფიდანაც გააგზავნეს, რამაც მოგზაურობას ხელი შეუწყო.

სიტყვამ მოიტანა და აქვე უნდა ვთქვა, რომ დიდად ვემადლიერებით საზღვარგარეთელ თანამემამულეებთან საქართველოს ურთიერთობის საკოორდინაციო ცენტრ „სამშობლოს“ ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ბატონ დავით კომახიძეს, რომელმაც ფინანსური დახმარება აღმოგვიჩინა: ბენზინი გვიყიდა, აჭარის მთიან რაიონებშიც ყველა ხელმძღვანელი გააფრთხილა და მათთან [illegible]

ავთანდილ ბერასაშვილი

უცხო ხილი

# ლიგის რაგბი

ლიგის რაგბი ჩვეულებრივი, ჩვენში აქამდე გავრცელებული რაგბის განაყოფია. ორ წელიწადში მას საუკუნე უსრულდება. ლიგის რაგბი უთუოდ ერთადერთი სპორტია, რომლის წარმოშობაც არა სპორტულმა ან სალაღობო, არამედ სოციალურმა ფაქტორმა განაპირობა.

საქმე ასე იყო. XIX საუკუნეში (და ახლაც) ინგლისში 'რაგბს შაბათობით თამაშობდნენ, შაბათი კი ჯერ არ იყო უქმე დღე. ამიტომ ჩრდილოეთ ინგლისის მუშური გუნდების წევრებს თამაშის გამო სამსახური უცდებოდათ, რითაც ფინანსურად ზარალობდნენ. დანაკლისი რომ აენაზღაურებინათ, კლუბებმა მორაგბეებისათვის მცირედი გასამრჯელოს დაწესება მოისურვეს, რაც რაგბის კავშირმა არა ჰქნა. მაშინ ჩრდილოეთის კლუბები ამბოხდნენ, კავშირი მიატოვეს და 1895 წლის 29 აგვისტოს 21-მა მათგანმა იორკშირის ქალაქ ჰადერსფილდში ე.წ. ჩრდილოეთის რაგბის კავშირის შექმნა გამოაცხადა.

მას შემდეგ ჩვეულებრივი, ანუ კავშირის რაგბი და ლიგის რაგბი შეურიგებელი მტრები არიან. კავშირის ხელისუფლებს ლიგელები დღესაც ძე ცდომილებად მიაჩნიათ და მათთან კონტაქტს კრძალავენ. ჩვენებური რაგბის მოთამაშეებს, მწვრთნელებს, მსაჯებსა და მომწყობებს ეკრძალებათ ლიგის რაგბში ყოველგვარი მონაწილეობა, თორემ დაისჯებიან. აკრძალულია არათუ თამაში, ლიგის გუნდებთან ვარჯიშიცა და მათი რაგინდარა ხერხით შეწევნაც.

ამგვარი დრაკონული კანონმდებლობა ლიგელებს უფრო აქეზებთ. მათ ბევრი კავშირელი ვარსკვლავი გადაუბირებიათ და მსოფლიო რაგბი განუძარცვავთ.

ლიგა კავშირს ფარისევლობასაც სწამებს, რაშიც ნაწილობრივ მართალია. ერთი, რომ ლიგასთან თანამშრომლობის აკრძალვა ხშირად ხელობის თავისუფლად არჩევის შეზღუდვად აღიქმება; და მეორეც, ის, რისთვისაც ლიგა თავის დროზე განუდგა კავშირს, დღესდღეობით კავშირმა თავად შემოიღო: მოთამაშეებს კომპენსაცია ერგებათ იმ ფინანსური ზარალისთვის, რომელიც საერთაშორისო თამაშებში მონაწილეობისა და მათთვის მზადების გამო ნახეს.

### თხუთმეტიდან ცამეტამდე

რაკილა ჩრდილოეთელები გამოეყვნენ სარაგბო საძმოს, თამაშის თავის ჭკუაზე გადაკეთებას მიყვეს ხელი. ორიენტირი ორი ჰქონდათ — სანახაობრივი მხარის გაუმჯობესება და რეგულარული, მწვავე შეჯიბრებების მოწყობა. იმ დროს რაგბის კავშირი ამრეზით უყურებდა ყოველგვარ შეჯიბრებას, ჩრდილოეთელებმა კი ერთ წელიწადში თასის გათამაშება შემოიღეს. შეიცვალა თამაშის წესებიც — კიდიდან ბურთის ხელით მოწოდების მაგივრად 1897 წელს ფეხით დარტყმა დაწესეს — სწორედ ისე, ახლახანს ფიფა-მ რომ გამოსცადა ჯეელთა მსოფლიო პირველობაზე. სიახლემ ვერ გაამართლა და დღესდღეობით ბურთი თუ მოედნის კიდეზე გადავა, მისგან ათი მეტრის მოშორებით შერკინება ინიშნება.



1902 წელს შემოიღეს წესი, რომელიც ჩვენებურმა რაგბმა 66 (!) წლის შემდეგღა მიიღო: თუ ფეხით დარტყმული ბურთი უშუალოდ კიდეზე დაეცემოდა, გუნდი მოედანს ვერ მოიგებდა. იმავე წელს შეიქმნა ლიგა და დაიწყო ჩემპიონატის გათამაშება, 1906 წელს კი მოთამაშეთა რიცხვი 15-დან 13-მდე შემცირდა.

უფრო ადრე, 1898 წელს პროფესიონალიზმი ოფიციალურად დაკანონდა. ამის მიუხედავად, მოთამაშეთა ლიანგი მაინც „მოყვარული" დარჩა, ვინაიდან ის თანხა, რაც ლიგის მოთამაშეებს მაშინ შემოსდიოდათ და დღესაც იღებენ, ახლოსაც ვერ მივა კრივის, ავტორბოლის, გოლფის, ჩოგბურთის, ფეხბურთის ან კეტბურთის პროფესიონალთა შემოსავალთან. თანაც, ლიგამ იმთავითვე დააკანონა, რომ თუმცაკი მოთამაშეებს კლუბიდან ფული ერგებათ, მაგრამ თან სხვაგანაც უნდა იმუშაონო.

1922 წელს ჩრდილოეთის კავშირმაცა და სპორტმაც თავისი დღევანდელი სახელი — რაგბის ლიგა და ლიგის რაგბი (Rugby League) დაირქვეს, თუმცაკი მერე და მერე საფრანგეთში თამაშს ერთი ხანობა Jeu a 13 (ცამეტკაციანი თამაში) უწოდეს და 1980-იანი წლების შუახანებში სასამართლოს ჩარევაც კი გახდა საჭირო საიმისოდ, ლიგელებს ძველი სახელი Rugby a 13 რომ დაებრუნებინათ.

### ჯიბრი და წამხედურობა

კავშირისა და ლიგის რაგბებს შორის გარეგნული, ზედაპირული სხვაობა გუნდში მოთამაშეთა რაოდენობის განსხვავებით როდი ამოიწურება. ლიგის გუნდების კართები რეკლამებითაა აჭრელებული, დიზაინის აუცილებელი ელემენტი კი ორკაპად შეკრული დიაგონალური ზოლებია. მოთამაშენიც უფრო ნაპატივებნი და ჩაკურატებულნი არიან, თუმცაკი ტანმაღლობა ვერად ადგებათ, რაკილა დერეფანი არ თამაშდება. რაკილა მორაგბეს უპირატესად წელსზევით, ხშირად მხრებთან ავლებენ ხელს და ასე ბოჭავენ, ამის გამო მხრებში დამცავი საფენი აქვთ ჩაგებული და კუზიანებივით გამოიყურებიან.

თითქოს ჯიბრის გამოაო, მოთამაშეთა ნუმერაცია რაგბის საწინააღმდეგოა. 1 ნომერი მცველს აწერია, 2 — მარჯვენა გარემარბს, 6 — გარე ნახევარმცველს, 7 — ჩვენებურ 9 ნომერს; 8 და 10 ბურჯები არიან, 9 — კვაჭი, 13 კი — შერკინების შემკვრელი. ფრთის მორკინალები არა ჰყავთ.

თამაში რაგბივით 80 წუთს გრძელდება, მაგრამ შესვენება ფეხბურთის მსგავსად 15-წუთიანია და გუნდებიც გასახდელებში მიდიან ხოლმე. თამაშები, მეტადრე ინგლისში, ხშირად საფეხბურთო მოედნებზე იმართება, ოღონდ კვირაობით, როცა უქმადაა, ფეხბურთისა და ლიგის კლუბებიც ხშირად ერთსა და იმავე ქალაქებს ჰყავთ. საფეხბურთო მოედნების გამოყენების გამო ლელოები ხშირად 6 მეტრამდეც კია დამოკლებული. რაც შეეხება პომპეზურობას, ბოლო ხანებში ლიგა ამერიკულ ბურთაობას დაესესხა. გუნდებს ერთობ მყვირალა სახელები ერქმევათ და „დიდების მუზეუმიც" მრავლად იქმნება. ერთი სიტყვით, გამოდის, რომ ამდენი ნასესხობის გამო ლიგას თავისი აღარაფერი აქვს!

### ხოხიალა თამაში, ანუ ბევრნი ერთის წინააღმდეგ

უკაცრავად: ლიგას აქვს ერთი წესი, რომელსაც Play-the-ball („ითამაშე!") ჰქვია და რომელიც მას ერთიანად განასხვავებს ჩვენებური რაგბისაგან. ამ წესის თანახმად შებოჭილი მოთამაშე ბურთს თავისს გუნდს უნარჩუნებს. ეს შემდეგნაირად ხდება: ბურთიანს რამდენიმე მეტოქე სწვდება ხოლმე და ძირს დასცემს. როგორც კი ბურთი მიწას შეეხება, მეტოქეებმა გაუჯანჯლებლივ ხელი უნდა უშვან წაქცეულს და ხუთი მეტრით უკან დაიხიონ. მაშინ ცოცხალმკვდარი შებოჭილი წამოდგება და ბურთს ქუსლით უკან გაუგორებს უახლოეს თანაგუნდელს. ამათგან მხოლოდ ორს შეუძლია შებოჭილს ხუთ მეტრზე ნაკლებ მიეახლოს, თორემ თამაშგარე იქნება და დაჯარიმდება. თამაშგარე მიიჩნევიან ის მეტოქეებიც, რომლებიც ხუთი მეტრის წესს თავისს მხარეზე არ დაიცავენ.

ამ წესის გამოისობით ლიგის რაგბი სულ სხვა არსს იძენს, რაკილა თანაგუნდელები ბურთიანს რეალურად, ძალით ვერ ეხმარებიან, რის გამოც თამაშის დროს საერთოდ ვერ ნახავთ ბურთისთვის ჯაჯგურსა თუ ზედახორას. ბურთი ერთთავად ხილულია, თამაშდება, მოთამაშეები კი მოედნის მთელს სიგანეზე არიან გაბნეული. შერკინების გარდა, გამორიცხულია ბურთისთვის გუნდური ბრძოლა. ფაქტიურად თითოკაცი ებრძვის მრავალ მეტოქეს, ეს კი იმას იწვევს, რომ ლიგის რაგბში სავარგოდ ერთობ ჯანიანი, სწრაფი და უშიშარი უნდა იყო. აი, ასეთია პროფესიონალიზმის საზღაური!



უთუოდ იკითხავთ, თუ ბურთი შებოჭილის გუნდს რჩება, მაშინ მეტოქეს როგორღა უნდა წაართვაო? როგორ და თუ ხელიდან გამოგლეჯ, ან გადაცემას ჩაუჭრი, ან მეტოქე ბურთს უხეიროდ მოისვრის და მას იხელთებ, ანაც, რაც მთავარია, ექვსი ბოჭვის წესის მეშვეობით. ეს წესი 1966 წელს შემოვიდა ისევ და ისევ ამერიკული ბურთაობის წაბაძვით და თავიდან ოთხი ბოჭვის წესად იყო ცნობილი: შემტევ გუნდს ზედიზედ ექვსი იერიშის უფლება ეძლევა, მეექვსე ბოჭვის შემდეგ კი, თუკი მანამდე ლელო ან გოლი არ გავიდა, შერკინება დაინიშნება მეტოქის სასარგებლოდ.

ლელო ვახსენეთ. ბურთი და მისი გატანის ხერხები ჩვეულებრივი რაგბის ანალოგიურია. განსხვავებულია მხოლოდ შეფასების ნიხრი. ლელოს გატანა 4 ქულად ფასობს (1985 წლიდან; მანამდე სამი ქულა ღირდა), გარდასახვა და საჯარიმოს შეგდება — 2-2 ქულად, არეკნით გატანილი გოლი კი — 1 ქულად. არეკნის მნიშვნელობა იმიტომ დაუკნინებიათ, რომ თუკი გუნდს მეხუთე ბოჭვამ მეტოქის ნახევარზე მოუსწრო, მეექვსე იერიშის დროს კარში შეუფერხებლივ ურტყამს არეკნით.

### მოჩვენებითი უწყვეტობა

თამაშის ტაქტიკა იმის მიხედვით ირჩევა, ექვსი იერიშის უფლებას გუნდი მოედნის რომელ ნახევარზე მოიპოვებს. თუ თავისი ლელოს მიდამოებიდან უნდა შეუტიოს, გუნდი ბურთს მორკინალებს აძლევს, იერიშს კი აბრაგანით ან მეტოქის ლელოში ბურთის შეგორებით ამთავრებს. თუ შეტევა მეტოქის ნახევარზე იწყება, უკანა ხაზი დაფაციფუცობს, ბურთს განდაგან ათამაშებს, ასრულებს ჩვენებური რაგბიდან კარგად ნაცნობ ჩარბენებს, შემორბენებსა და ჯვრებს და განივად განფენილი მეტოქის დაცვის არევას ცდილობს. როგორც კი დაცვაში ბზარი წარმოიშობა, ხაზის გამჭრელს ყველანი ოსტატურად მიყვებიან და მხარს აუბამენ. უნდა ითქვას, რომ ხელით თამაშში ლიგელი პროფესიონალები არ ჩამოუვარდებიან მოყვარულ მორაგბეებს, აი, საჯარიმოების დარტყმა კი რატომღაც ვერ ეხერხებათ!

ერთი სიტყვით, მთელი თამაშის მანძილზე მოედანზე დიდი ფუსფუსია. პაუზები ცოტაა, მოთამაშეები დახოხავენ, ბურთი კი აქეთ-იქით თამაშდება და გლადიატორული შეტაკებებიც ხშირია. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ლიგის რაგბი, ჩვენებურისაგან განსხვავებით, ყველა ღირსების მიუხედავად მაინც უღიმღამო, ერთფეროვან სანახაობად ჩანს. როგორც „ბურძგლად" ცნობილ მწვრთნელს გურამ მოდებაძეს შეუნიშნავს, „ეგ რა თამაშია, ერთი თამაშობს და სხვები უყურებენო!"

მართლაც, თუმც ლიგელებს სულ თავიდან ქველი განზრახვა ჰქონდათ და თამაშის გამშვენიერება ეწადათ, მაგრამ 1950-იან წლებში განფენილი დაცვის გამოგონებამ თამაში ისეთ ჩიხში მოაქცია, საიდანაც დღესაც ვერ გამოსულა. ყველაფერი მოწმობს, რომ ცამეტკაციანმა რაგბმა, მარად ახალგაზრდა თხუთმეტკაცისაგან განსხვავებით, ამოწურა თავი და ვეღარ ვითარდება.

### ლიგა მსოფლიოს მოედნო

შინაური კრიზისი თამაშის მსოფლიოში გავრცელებას არ დასტყობია. 1907-08 წლებში ჩრდილოეთურმა თამაშმა ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაშიც შეაღწია მას შემდეგ, რაც „ოლ ბლექსის" 1905 წლის ბრიტანული ტურნეს დროს ამ გუნდის წევრები ლიგის რაგბსაც გაეცნენ.

1931 წელს ბრიტანელმა მორაგბეებმა ფრანგები მოიკვეთეს, აქაო და პროფესიონალები ხართო. ფრანგებმა საჩვენებელი თამაშის გასამართად ავსტრალია და ინგლისი მიიწვიეს და დიდი ზარზეიმით ლიგის რაგბში გადავიდნენ.

1980-იანი წლების შუახანებამდე მხოლოდ ეს ოთხი ქვეყანა — ინგლისი, ავსტრალია, ახალი ზელანდია და საფრანგეთი ჩანდა მსოფლიო ასპარეზზე: ტურნეებით ერთმანეთთან სტუმრობდა, დროდადრო კი მსოფლიო თასსაც მართავდა. დასაბამიდან ინგლისი მძლავრობდა, 1950-იან წლებში ფრანგები დაწინაურდნენ, მაგრამ ავსტრალიამ 1970-იანი წლებიდან თანდათან დანერგა სრული პროფესიონალიზმი, ბრიტანეთიდან თავისიანები შინ დააბრუნა და მსოფლიო რაგბის ლიგის ლიდერი შეიქნა. „კენგურუებმა" მოიგეს ცხრიდან ექვსი მსოფლიოს თასი (1957, 1968, 1970, 1988 და 1992 წლებში) და მსოფლიოს ჩემპიონატი (1975), ინგლისმა კი, რომელსაც უელსთან ლიგისეული ალიანსის გამო დიდი ბრიტანეთი ჰქვია — დანარჩენი სამი (1954, 1960, 1972).

დღესდღეობით ლიგის რაგბის საერთაშორისო საბჭო (რლიბ), რომელიც 1948 წელს, შექმნისთანავე ლიდსში დაფუძნდა, სახსრებს არ იშურებს ჩრდილოეთური, მუშური თამაშის მსოფლიოში გასავრცელებლად. ლიგამ შეაღწია ირლანდიაში, იტალიაში, აშშ-ში, იაპონიაში, სამხრეთ აფრიკაში, რუსეთში, ტონგაზე, სამოაზე, კუკის კუნძულებსა და პაპუა ახალ გვინეაზე, აგვისტოს ბოლოს კი ამათ რიცხვს საქართველოც დაემატა.

## ცსკა

### რუსი პინგვინები

ვინ იფიქრებდა, რომ რუსის ჯარის ჰოკეისტთა მრისხანე ზეკლუბ ცსკა-ს ერთ მშვენიერ დღეს დასახელებაში „პინგვინები" დაემატებოდა. არადა, არმიელებსა და „პიტსბურგ პინგვინზს" შორის ხელშეკრულება დაიდო.

— ჭორია, თითქოს ცსკა საზღვარგარეთ მოქმედი პირველი ამერიკული კლუბი იყოს — განაცხადა „პინგვინზის" წარმომადგენელმა ვორშომ. — ხელშეკრულებით შეიქმნა ერთობლივი საწარმო, რომელიც შეეცდება რუსეთში ჰოკეის იერის შეცვლას და მის შოუდ ქცევას. ჩვენი მიზანია, ამერიკელებმა ცსკა ისე გაიცნონ, როგორც „ფილადელფიასა" და „ბოსტონს" იცნობენ.

ამერიკელებს მიზნად არა ჰქონიათ რუსების სარფიანად ყიდვა-გაყიდვით ფულის კეთება. მათი სურვილი „რუსი პინგვინების" მატჩებზე მაყურებლის მიზიდვაა. ამისთვის კანადელი კინოვარსკვლავი მ. ჯ. ფოქსიც აუყოლებიათ.

პინგვინ-ბიზნესმენებს თებერვალში ცსკა-ს ამერიკული ტურნე დაუგეგმავთ. კიდევ თურმე მარიო ლემიეს რუსეთში ჩამოყვანას აპირებენ.

## აქეთური, იქითური

საინტერესო ცნობები მოვიდა ჰოკეის ეროვნული ლიგიდან (NHL): სტენლის თასის მფლობელმა „მონრეალ კანადიენსმა" ორწლიანი კონტრაქტი დაუდო ვანკუვერელი პაველ ბურეს უმცროს ძმას ვალერი ბურეს, ვინც აქამდე ერთ-ერთ ქვედა ლიგაში წარმატებულად თამაშობდა; საქმე ცუდად წაუვიდა კიდევ ერთ რუს ვარსკვლავს, შარშანდელი რეგულარული სეზონის ბომბარდირ ალექსანდრ მოგილნის, რომელსაც შარშანდელი ტრავმა ვერ მოუშუშებია და „ბუფალო სეიბრზის" ვარჯიშებიდან მემფისის ჰოსპიტალში გაამწესეს; „ნიუ-იორკ აილენდერსის" ფორვარდ ბრაიან მულინსაც მარცხი შეემთხვა — მას სამშაბათს გულის ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს; სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა „პიტსბურგ პინგვინზის" ერთ-ერთი ლიდერი კევინ სტივენსი.

*

ავსტრალიაში რაგბის მსგავსად ლიგის რაგბიც უპირატესად ორ შტატში — ახალ სამხრეთ უელსსა და ქვინზლენდშია დანერგილი. ეს ორი შტატი ყოველწლიურად ეჯიბრება ერთმანეთს „დამფუძნებელი შტატების" (States of Origin) სამმატჩიან სერიაში. გარდა ამისა, იმართება საკლუბო შეჯიბრება, რომელიც მეთამბაქოე სპონსორის სახელს ატარებს და Winfield Cup ჰქვია. წელს „ვინფილდის თასის" ერთ ნახევარფინალში, 4 სექტემბერს „კანბერა რეიდერსმა" მოუგო სიდნეის „სენტ-ჯორჯზს" (წმ. გიორგის) 31:10, 5 სექტემბერს კი „ბრისბენ ბრონკოუზმა" სძლია სიდნეისვე „მენლი-ვორინგას" 36:10. ფინალში, სიდნეის საბურთაო სტადიონზე (SFS), 11 სექტემბერს „ბრისბენმა" „კანბერა" დაამარცხა 30:12. „ბრისბენი" ამავდროულად მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონიცაა და ტიტულის დასაცავად წელს ინგლისის „ვიგანს" ეთამაშება.

*

„ვინფილდის თასის" მომავალი გაურკვეველია. საქმე ისაა, რომ ავსტრალიის მთავრობამ აკრძალა მეთამბაქოეთა მიერ სპორტის პატრონობა. ამიტომ ავსტრალიელ ლიგელებს საგაისოდ სხვა მფარველის ძებნა მოუწევთ. არადა, იგივე პრობლემა აწუხებდათ ფორმულა 1-ის ავსტრალიის „გრან პრის" ორგანიზატორებსაც, მაგრამ მთავრობას თავიანთი ღონისძიებისთვის გამონაკლისი დაუშვებინეს. რაც შეეხება სპორტის სხვა სახეობებს, კურიოზული ვითარება შეიქმნა ფეხბურთში: 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ავსტრალია — ახალი ზელანდიის თამაშებმა ორივე მხარე საჭოჭმანო ვითარებაში ჩააგდო: იმას, რაც ავსტრალიური კანონმდებლობით იკრძალებოდა, ახალზელანდიურით ლოცვა-კურთხევა არ დაჰკლებია.

*

ავსტრალიის ჩოგბურთელთა ნაკრები 24-26 სექტემბერს დევისის თასის ნახევარფინალში ინდოეთს სტუმრად, ქალაქ ჩანდიგარხის ბალახიან მოედნებზე უნდა ეთამაშოს. უთუოდ ამის გამო იყო, რომ გუნდის კაპიტანმა ნილ ფრეიზერმა გუნდში არ ჩარიცხა მიწის მოედნებზე თამაშის სპეციალისტი რიჩი ფრომბერგი. ავსტრალიის ნაკრები ჩანდიგარხში ასეთი შემადგენლობით წარსდგება: აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალისტი უელი მაზური, ჯეისონ სტოლტენბერგი, მარკ ვუდფორდი და ტოდ ვუდბრიჯი.

*

პაპუა და ახალი გვინეა 1975 წლამდე ავსტრალიის სამეურნეო ტერიტორიები იყო და ერთი ცენტრიდან — პორტ-მორსბიდან იმართებოდა. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ორივე გაერთიანდა და ახლა პაპუა ახალი გვინეა ჰქვია. იქაურ მცხოვრებლებს — პაპუასებს ლიგის რაგბი თამაშთა შორის ყველაზე მეტად უყვართ და კიდეც ეხერხებათ. ისინი მონაწილეობდნენ ბოლო მსოფლიო თასში, რომელიც ტურნეებად გაიმართა 1990-92 წლების განმავლობაში. რაკილა ახალ გვინეაზე ერთობ ცხელა და ხშირადაც წვიმს, პაპუასებს შინ თვით დიდი ბრიტანეთიც კი დაუმარცხებიათ, შარშან კი საფრანგეთთან წაგების შემდეგ რამდენიმე მაყურებელმა ნაკრების მწვრთნელიც კი გალახა. როგორც გამოძიებამ დაადგინა, მწვრთნელი უცემინებია მოთამაშეს, რომელსაც გული მოსვლია, აქაო და მწვრთნელმა ფრანგებთან როგორ არ მათამაშაო. წამქეზებელს სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს იმის გამო, რომ პაპუასურ ლიგის რაგბს საქვეყნოდ გაუტეხა სახელი.

აქეთური, იქითური

სარბიელი
...ის გაზეთი
...ძოდის სა... და პარასკევობით
ინდექსი 66441

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი"

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ჯაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)